

708

2000



 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ე
 ბ
 ჯ
 ა
 რ



მეგობარი

თბილისი

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:

მია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ანდრია აფაქიძე
ნიკოლოზ ვაჩუაშვილი
პარმენ ზაქარაია
დიმიტრი თუმანიშვილი
მარიამ ღლორთქიფანიძე
ოთარ ღლორთქიფანიძე
დავით ღლომიტაშვილი
სამსონ ლეჟავა
გივი პაპალაშვილი
გურამ ყიფიანი

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე - შატბურდი, დასავლეთის ფასადი, X ს. ფოტო დ. ციციშვილის.

ინგლისური ტექსტი მოამზადა - მარინე ყენიამ

დააკაბადონეს - რამაზ კუჭავამ და ნანა სიმონიშვილმა

რედაქციის მისამართი:

თბილისი, შავთელის ქ. 5/7

ტელ: 98 87 94

93 36 18



საქართველოს ისტორიისა და ელტურის ძეგლთა დაცვის ფონდი
Fund for Protection Monuments of History and Culture of Georgia

მეგლის მებოგარი

№4 (111)

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

2000 წელი
თბილისი



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

რატომ ვივიწყებთ?

ახალგაზრდა გერონტი ქიქოძე 1910 წ. გახეთ „დროებაში“ წერდა - „ადამიანი, ან მით უმეტეს, მთელი ხალხი უიდეალოდ, რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩინია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად... სწოებრივ პიროვნებას და სწოებრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინ დაყენება ადამიანობის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩინია. მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით ამ კეთილშობილ ნიქს ადამიანისას, აფვილად დაეინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველებისაგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...“

ადამიანი ისტორიული არსებაა და მის ცნობიერებაში მრავალსაუკუნოვანი განვლილი გზის გააზრებაა საჭირო. მაგრამ ხდება ისეც, რომ უახლესი ისტორიის ფურცლები ერთბაშად ბინდით იფარება. მათი გახსენება აღარც უნდათ, შეიძლება არც სჭირდებათ, მაგრამ ეს ხომ თაობათა განვლილი გზაა.

არის პერიოდები, როდესაც განსაკუთრებული ძალით იკვეთება თაობათა პასუხისმგებლობა სამშობლოს ისტორიული ბედისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ სწორედ საქართველოში, პირველად საბჭოთა კავშირში, შეიქმნა არასახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა დაისახა. ეს მოხდა 1959 წელს. იმ დროს ეს პირად გამხდარობას მოითხოვდა. წარსულის ტოტალური უარყოფის სუსხიან წლებში აუცილებელი იყო უროვნული მეხსიერების გაღვივება. ეს მიზანი ამოძრავებდათ ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებმაც დააარსეს საქართველოს ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება.

გავიხსენოთ საინიციატივო ჯგუფის წევრები: ბეჟან ღორთქიფანიძე, შალვა ამირანაშვილი, ვიორჯი ჩუბინაშვილი, ლევან გოთუა, დავით ჩხიკვილი, კონსტანტინე სოხაძე, ა. ბოჭორიშვილი, რომლებიც შევიდნენ საქართველოს სსრ მაშინდელ ცეკას პირველ მდივანთან ბატ. ვასილ მჭავანაძესთან და დაითანხმეს მხარი დაეჭირა საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. არ შეიძლება არ აღენიშნოთ საქართველოს სსრ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ ბატ. ვივი ჯავახიშვილის თანადგომა. სხვათაშორის დამფუძნებელ უროვნობაზე საპატიო პრეზიდენტობა იმყოფებოდა ახალგაზრდა ელუარდ შევარდნაძე - მაშინ საქართველოს კომკავშირის პირველი მდივანი.

„დღევანდელი დღე ჩვენს ცნობიერებაში დარჩება, როგორც დიდმნიშვნელოვანი დღე, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ველოდით... ჩვენი კულტურის მოვლის საქმეს მის გამოვლინებას, დაცვას, მეცნიერულ შესწავლას აწარმოებს სახელმწიფო, მაგრამ ძეგლებს სიმრავლე და სიუხვე იმდენად დიდია, რომ ჩვენ მხოლოდ იმ დაწესებულებით, რომელიც მოწოდებულია ოფიციალურად ამ საქმისთვის, ფონს ვერ გავალო, ჩვენ გვესაჭიროება საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი ძალა, საზოგადოებრივი დახმარება“ - აღნიშნავდა დამფუძნებელ კრებაზე აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი.

22116





ეს ხდებოდა მაშინ, როცა ეკლესიათა ნანგრევებს ზოსლდების ახალი მშენებლობის იყენებნენ, ტაძართა კედლები მნახველთა სიებით და უხამსი წარწყმევით სურს პატივად იყრილი.

თავდადებული მამულიშვილი, მწერალი დეკან ვითუა ძველების წამბილწავეებს „შინაურ მოთარეშებს“ ეძახდა და დასძენდა „ახლა, როდესაც ამ ძველების დიდი უმრავლესობა მხოლოდ მეცნიერულ-მხატვრულ და ისტორიულ-კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს, ერის თვითშეგნებისა და სულიერი სამყაროს განმს შვიცავენ, ხოლო უწინდელი უტილიტარული, თავდაცვითი თუ სარწმუნოებრივი მნიშვნელობა დაკარგული აქვთ, სწორედ ახლა სჭირდება მათ თავდადებული მგობარი, გულისხმიერი მეცნიერი, შეგნებული მცველი და დაოსტატებული აღმდგენელი“. ასეთი ხალხი შემოიკრება საქართველოს კულტურის ძველთა დაცვის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ – ასე ურქვა მაშინ ჩვენს ორგანიზაციას, რომელთანაც ერთგულად თანამშრომლობდნენ: ნიკო კეცხოველი, ოთარ თაქთაქიშვილი, ვახტანგ ბერიძე, თენგიზ ბუაჩიძე, ვახტანგ ცინცაძე, კარლო ბუხნიკაშვილი, რუსუდან გეგუდწითელი და სხვანი. მადლობა დმერთს, რომ დღესაც ჩვენი სასიკვდილო მეცნიერები – პარმენ ზაქარაია, ირაკლი ციციშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, საშუალო და ახალგაზრდა თაობის მეცნიერები ამ მძიმე დროშიც იმედიანად მხარში გვიდგანან.

პირველ სხდომებზე განხილული იყო ანისხატის ბაზილიკის რესტავრაციის, საინგილოში ქართული ძველების დაცვის საკითხები. უკვე 1960 წ. 22 ივლისს საზოგადოებამ მიიღო დადგენილება თბილისში ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი ღია ცის ქვეშ მუსეუმის ორგანიზაციის შესახებ, 1965 წ. ტარდება სარესტავრაციო სამუშაოები ზედაზენზე და გრემზე, 1967 წ. მიღებული იქნა დებულება „კულტურის ძველთა დაცვის ფონდის“ შექმნის შესახებ, დაისვა საკითხი ქალაქების ისტორიული ბიროთის დაცვისა და რეკონსტრუქციის თაობაზე და მრავალი სხვა. ათასობით ადამიანს მიეცა საშუალება დაეინახა და გაეთვითნობიერებინა საქართველოს სიძველეთა მნიშვნელობა, ამათთან ერთად მათი გადარჩენისათვის მიმართული საქმიანობის თანახარი გამხდარიყო.

საქართველოს შემდეგ ამ ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. ფაქტიურად ძველებზე ზრუნვა ეს ჩვენი წინაპრების იდეებისა და იდეალების შეგრძნების სურვილი იყო, სულელი ცხოვრების აღორძინების სურვილი, რაც ამ ფორმით ხორციელდებოდა მსოფლიოს უძლიერეს ტრადიტიულ სახელმწიფოში, სადაც ყველა ღონისძიება წინასწარ იგეგმებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უმძლავრესი იდეოლოგიური წნების ქვეშ მოქცეულნი, ამ მანქანის დანამატის ფუნქციის შემსრულებლად გაიანზრებოდნენ. როდესაც გადახვდავ განვიხილ გზას, გახსენდება – როგორ მოითხოვდნენ ღენინის ძველთა აღრიცხვას, შრომისა და საბრძოლო დიდების ადგილების დაცვას (ბელორუსიაში, უკრაინაში, რუსეთშიც საზოგადოებათა ძირითადი საქმიანობა ამ თემატიკას მოიცავდა). საქართველოში კი ძველთა დაცვის საზოგადოება ის ადგილი იყო, სადაც ხდებოდა ეროვნული მეხსიერების გადმოცემა. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, აღარც ახსოვდეს, რომ საზოგადოების მიერ გამოყოფილი თანხებით შესწავლილ იქნა და რესტავრაცია ჩატარდა: ქვთახევის, გუდარეხის, საფარას, მირიანის საფლავს, სამშეილდის სიონს, თბილისის უმათერეს ეკლესიებს: ანისხატს, სიონს, ბეთლემს, დიდუბეს, ვჯარისმამას და სხვა 200-მდე ძველს. დღეს, უმეტეს მათგანში განახლდა



საკვლეის მსახურება. დაგვეთანხმებით ეს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სულეირი ცხოვრების აღორძინებაში.

ჩვენი საზოგადოება თავისი სამეურნეო-ეკონომიური საქმიანობითაც წინ უსწრებდა სხვა რესპუბლიკების ამ ტიპის ორგანიზაციებს. სწორედ დამხმარე საწარმოების შექმნამ და წარმართულმა საქმიანობამ განაპირობა საზოგადოების ხასრების მკვეთრი ზრდა 80-იან წლებში, როდესაც ერთი მლ. რუბლი შედეგად გამოგვეყო რესტავრაციას, არქეოლოგიური ექსპედიციების, გამოცემების დასაფინანსებლად.

არ მახსოვს, რომ ჩვენს ორგანიზაციას საზოგადოებრიობისათვის თავი მოუბეზრებინოს თავისი საქმიანობის რეკლამირებით. ვაკეთებდით იმიტომ, რომ საქართველოში ყოველთვის იყო ხალხი ვინც წარსულის ძველებზე ზრუნავდა, ჩვენი სამშობლოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, ჩვენს კულესია-მონასტრებზე. არც ახლა შევაწუხებდით ეურნალის მკითხველებს ამ თემაზე საუბრით. უხერხულია იბახო - აი რამდენი გვაქვს გაკეთებული, მაგრამ სისტემატორ ნიჟილისაგან შეწუხებულნი იძულებულნი ვართ გამოვაქვეყნოთ ჩვენი სახსრებით რესტავირებული ძეგლების სია და სხვისი ქონების დაპატრონების სურვილით აღძრულთ ეუთხრათ - ვის უჩივიხართ? ვის სწამებთ ცილს?

ვინღაა ის მომწივანი მხარე, რომელიც წლების განმავლობაში წერილ-წერილზე აგზავნის სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციებში, თანაც ასე მოგვიხსენიებს - ეს უფუნქციოდ და უსახსროდ დარჩენილი ორგანიზაციაო. ეს მხარე - საქართველოს ზოგიერთი საკვლეის პირია, რომლებსაც რატომღაც ავიწყდებათ, რომ როდესაც ჩვენი ორგანიზაცია ძეგლებს აღადგენდა (80% კი კვლესია-მონასტრებია) კვლესიაში ცოტანი თუ დადიოდნენ, დღევანდელი საკვლეის პირთა უმეტესობა ან აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში საქმიანობდა, ან სულაც უწლოვანი იყვნენ.

აღამიანურად გვესმის, რომ ჩვენი ორგანიზაციის ფართოდ გადაშლილი შენობა ზოგიერთში ცოდიან აზრებს ბადებს, მაგრამ მაშინ მათე მცნებას რაღა უფოთ - „არა გული გითქმოდეს... არცა ყოველისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოველი რაიცა იყოს მოყუასისა“. ბატონებო, მცნებები, ხომ მოცემულია ყველასთვის ანაფორიანთა და უანაფოროთათვის.

შეთედლის ქ. 5/7-ში საზოგადოებამ 1981 წელს დაიდო ბინა. თუ რას წარმოადგენდა ანონისატის უბანი 1981 წლამდე გადმოგვეცემს ცნობილი არქიტექტორ-რესტავრატორი ქალ. რუსუდან გვერდწითელი 1975 წელს „ძველის მეგობარში“ (№37) გამოქვეყნებულ სტატიაში - „მეტი ყურადღება თბილისის ძეგლებს“.

„საჭიროა ძველის ეზოს მთლიანად მოწესრიგება. ეზო კი, რომელსაც თითქმის მთელ პერიმეტრზე პატარ-პატარა მჭიდროდ დასახლებული და ყოველგვარ კომუნალურ მომსახურებას მოკლებული სახლები არტყია მეტისმეტად არასახარბიელო სანახაობას წარმოადგენს. გარდა ამისა, რომ ამ სახლების დიდი ნაწილი დაძველებული და მოუვლელია, ყოველი მობინადრე თავისებურად ცდილავ გაუუმჯობესებინა ცხოვრების პირობები ახალი დამატებითი სათავსოების მიშენებით. ამავე დროს, შეთედლის ქუჩაზე გამავალი ორი სახლი, განსაკუთრებით ის, რომელიც სამრეკლოს მუშობლად დგას, გადაკეთებამდე დამაზი თბილისური საცხოვრებელი იქნებოდა და ძველის ეზოსაც ნამდვილად დაამშვენებდა.“

ამრიგად, ამ ძველისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა დამოკიდებულია იმ რთულსა და კომპლექსურ სამუშაოზე, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩატაროს თვით ქალაქმა“.



სწორედ ეს რთული და კომპლექსური სამუშაო იტვირთა თავის მძევალს ლეონი ლეონის ძე ლეონიძე.

მორიგი „თბილისობისათვის“ თბილისის ადმინისტრაციის 1981 წლის 6 მაისის №642 განკარგულებით ანჩისხატისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ქალაქის ბალანსიდან გადმოკვეცა 440 კვმ საცხოვრებელი ფართი, ავარიული, ფაქტურად დანგრეული ნაგებობის, იმ მიზნით, რომ ლეონი ლეონის ძე ხაუტარბეგი საკუთარი სახსრებით რეკონსტრუქციას და ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობად გამოყოფებდით, რაც ლეონი ლეონის ძეს პირნათლად იქნა შეხრუღებული. 1981 წლის „თბილისობა“ სწორედ ლეონი ლეონის ძის უზოში გაიშარა და ერთ-ერთ დასამახსოვრებელ დღესასწაულად იქცა უნდა ითქვას, რომ ეს შენობა ლეონი ლეონის ძის რეკონსტრუქციის შემდეგ 1986 წლის იქნა ადგილობრივი ადრინტეხაზე, როგორც რესპუბლიკური მნიშვნელობის არქიტექტურის ძეგლი.

ნაგებობის რეკონსტრუქციის გარდა დამატებითი ხარესტავრაციო სამუშაოები ნავატარეთ თვით ანჩისხატზე, ნათქვამი გვერდითი ქუჩები (მანამდე აქ ეწ. „ტუპიკი“ იყო და მოსახლეობა ცხოვრობდა), გაკეთდა დობე და სკვერი. ასევე კონსერვაცია ნავატარდა შენობის წინ, მშენებლობისას აქ აღმოჩენილ დომინტი II კათოლიკოსის სავარაუდო სასახლეს, სხვათაშორის კვლევის არცერთ საიუარში, ასეთი წერილები კი მრავლად დააგზავნეს, არასოდეს არ ახსენებენ ამ სასახლის ნაშთს, რომლის ერთი ხაროული დაკონსერვებულია და 82-85 წლებში სადამოებს ვაწყობდით. ეს ძველი კვლევის წარმომადგენლებს არ ხტირდებათ, უნდათ უკვე გაკეთებული და არა სავალდებულო, თუნდაც კათოლიკოსის სასახლად მიხეული ძველი იყოს.



სურ. 1. ლეონი ლეონის ძის ადმინისტრაციული შენობა 1989-90 წწ. (ამ დროს კვლევის არ ხოლდა)

ორი წლის წინ ერთ-ერთ მღვდელს შეუთავაზეთ - სხვის ქონებაზე ამდენს ნივთბარო, აიღეთ ეს ნაგებობა და დააშენეთ კიდევ ერთი ხაროული, რაზედაც



გეიპასუხა - ამის თავი არ გვაქვსო. თუმცა ჩივილის, ინტერვიუ და ცილისწამების თავი აღმოაჩნდათ და თანაც მძლავრად. რა თქმა უნდა ჩვენ შოთა ყავლაშვილის პროუქტით და ჩვენი სახსრებით რეკონსტრუირებული შენობა ურჩევნიათ, მათ ძველად წარმოუდგენიათ ან სულაც არ აინტერესებთ რა თანხებთანაა დაკავშირებული ასეთი ნაგებობის აღდგენა და შენახვა. საქმე იმაშია, რომ ესაა სხვადასხვა პერიოდის, XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-30 წლებში აშენებული, მრავალჯერ გადაკეთებული საცხოვრებელი სახლების ნაერთი, რომელსაც, ვიმეორებთ, ცნობილმა არქიტექტორმა შოთა ყავლაშვილმა მისცა XIX საუკუნის თბილისური საცხოვრებელი სახლის სახე. შენობა სპიტაკის მიწისძვრის გამო (ტალღამ თბილისამდეც მოაღწია) ავარიული გახდა. ჩვენ ფაქტობრივად ხელმეორედ მოგვიხდა ნაგებობის აშენება. თბილისის ეს უმშვენიერესი უბნის რეკონსტრუქცია ჩვენ საზოგადოებას დაუჯდა დიდი ძალისხმევის ფასად და ფინანსური დანახარჯი გამოიხატება უზარმაზარი თანხით 600000 მან. პროექტის თვით კორექცია წიგნში „ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანადში“ აღნიშნავდა: - „თუთი საცხოვრებელი სახლის ადაპტაცია ძველთა დაცვის საზოგადოებისათვის მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა (არქიტექტორები: გ. კახრაძე, გ. ხუჩინაშვილი, ა. ფაულენიშვილი) შენობა რამდენიმე სხვადასხვა ასაკის ნაწილისაგან შედგება - შენობას მიმზიდველი მხატვრული სახე აქვს.“

თვალა, რომ გადადევნოთ ანჩისხატის უბნის განაშენიანებას, ისტორიულ ჭრილში, ის ხშირად იცულება, მაგრამ არსად არ არის აღნიშნული ანჩისხატის გულსიის გვერდით საეპისკოპოსო კომპლექსის არსებობა. არ გვერინა იმის მტკიცება იყოს საჭირო, რომ გულსიის გვერდით შენობის არსებობა მის გულსიისადმი კუთვნილებას ნიშნავდა.

სხვათაშორის, წლებთან ერთად იცულებოდა მათი ჩივილის მოტივაცია. დასაწყისში ჩიოვდნენ - ვადმოგვევით ეს შენობა, რადგან ჩვენ გვხვს იქ სახელისნოები მოვაწყოთო. 1993 წელს ისეთებიც გამოჩნდნენ - აქ ვახტანგ გორგასლის დროს სასწაულებელი იყოო და ახლა კი ჩვენ უნდა გაეხსნათო. ბოლო წლებში მათ საჩივრებში გაჩნდა ასეთი ფორმულირება: „სახლი საეკლესიო“, „მღვდლის სახლი“, „სახლი საეპისკოპოსო“. სულ ბოლო წერილში აღმოჩნდა, რომ ჩვენ ვიმეორებთ საეპისკოპოსო კომპლექსის ნაწილში. მაშინ, ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიონ - რა საეპისკოპოსო იყო აქ? ეს უსახელო საეპისკოპოსოა? როდის აშენდა? რა ურქვა ეპისკოპოსს? რომელ ისტორიულ წყაროებშია ეს ინფორმაცია დაცული? ადრე ვერ ვიჯერებდით, როგორ უნდა ინივლონ ამდენი გვაქვს გაკეთებული. ერთმა მღვდელმა მასალებს რომ გაეცნო ალაღად გაეთხრა - ამდენი საპატრიარქოსაც კი არ გაუკეთებიაო. ახლა კი ვფიქრობთ, რომ იმდენად ძლიერია ბოროტის ბრძოლა მათში, რომ ვლარ წერდებიან. აღარც მეცხრე მცნება ახსოვთ „არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუთა.“

ნუთუ უხერხულად არ გრძნობენ თავს, როცა ყველა წერილში აცხადებენ - მარტო „ორი პატარა ოთახის და სარდაფის დაკავება მოესწრო“.

1988 წელს, როდესაც ანჩისხატი გაიხსნა მოძღვარი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, გამორჩეული ადამიანი, ყველაფრით გამორჩეული - გვარიშვილობით, აღზრდით, სულიერებით - მამა გიორგი (გურამ გამრეკელი), რომელსაც არ უთხოვია სათაქის გამოყოფა, ის მრველზე ზრუნავდა და არა კვ. მეტრებზე ანჩისხატის მრველი მაშინ სულ სხვა იყო, სხვა შემადგენლობის. მის დროს მცირე ოთახი გამოუყავით მამა გიორგის მოსახელებლად, რაზედაც კათოლიკოსმა მადლობა შემოგვითვალა. მეორე ოთახი და სარდაფი ჩვენმა ხელმძღვანელობამ - დღევანდელ დეკანოზს ბატონ რევა ტომარაძეს



დამატებით გამოუყო. (მაშა გიორგი სამწუხაროდ გადაიყვანეს და მრევლში სიონში გადაყვა). ჩვენ, ჩვენი ნებით შევეუქმეთ უკეთესი პირობები დასაშვან უმადურობით არ უნდა გვახსოვდნენ. თბილისის ძველ კვლევებში ვის აქვს უკეთესი პირობები ან მღვდლებს როდის ქონდათ სასახლეები, როდესაც პატრიარქსაც მოკრძალებული საცხოვრისი აქვს არავის არასოდეს უთქვამს - დაცალკეთ და გადაეცეთ სხვას თქვენი შერობაო, რადგან ეს არის არასახელმწიფო ქონება და მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას აქვს ქონების განკარგვის უფლება. ასე იყო საბჭოთა პერიოდში, ბატონ ზ. გამსახურდიას დროს და ასეა დღევანდელი კანონმდებლობითაც.

ახალი ინტრიგის საფუძვლად მით არც ეთომდა „პრობლეში“ საკითხი გამოადგებათ. საქმე შემდეგშია, 1998 წლიდან ჩამოყვანილდით როგორც ძველთა დაცვის ფონდი, რომელიც არის ძველთა დაცვის საზოგადოების სამართალმემკვიდრე.

ჩვენ ერთ საზოგადოებრივ, არასახელმწიფოებრივ დამოუკიდებელი ორგანიზაცია, სხვათაშორის ექვემდებარებით იმავე 1995 წლის კანონს - „მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ“, რომელსაც დღევანდელით ექვემდებარება კვლევაც. ასე რომ ჩვენც გვაქვს კანონმდებლობით საკუთარი ქონების განკარგვის, დაცვის უფლება. თუ მით უნდათ მხოლოდ საკვლევო საკუთრება არსებობდეს და სხვა არაფერი? ასეთი რამ არცერთ სახელმწიფოში არ არის ვიმოვებთ, ჩვენ ჩვენი საკუთრების განკარგვის უფლება გქონდა ყოველთვის - 1998 წლამდეც, 1997 წელს, 92 წელს და ა.შ. ისევე როგორც გვაქვს უფლება ამოვირიოთ საზოგადოებრივი გაერთიანების ის ფორმა, რომელიც ოპტიმალურია დღევანდელი რეალობისათვის, საწვდებო ამოცანათა შესასრულებლად. ამიტომ 1998 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საჯალდებულო რეგისტრაციის დროს გადაწყვიტეთ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოგვეყვანა წესდება და გარდაქმნილიყავით საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძველთა დაცვის ფონდად, საზოგადოებრივ ფონდად, რომელსაც იგივე მიხნები და ამოცანები ქონდა და აქვს რაც ძველთა დაცვის საზოგადოებას.

ახალ დროს, ახალ სახელმწიფო წყობას ახალი კანონმდებლობა, ახალი ფორმები და ტერმინოლოგია მოაქვს. აღარაა თბილისის აღმასკომი, შავრამ არსებობს თბილისის მერია, აღარაა უმაღლესი თუ უხუცესი საბჭო - არის პარლამენტი, ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოც დღეს უკვე ძველთა დაცვის დეპარტამენტია, შავრამ მათი საქმიანობის სფერო იგივეა, არ შეცვლილა - ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ცვლილების პროცესია.

რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ძლიერდება აზრი, რომ კვლევისის ზოგიერთ წარმომადგენელს, შესაძლებელია საპატრიარქოშიც ზოგიერთ პიროვნებას არ სჭირდება ძველთა დაცვის არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აღბათ აღარც მეცნიერები. ამით ხომ ეველადური მარტივდება. მათ ეძლევათ საშუალება უკონტროლოდ, საკუთარი შეხედულებით ჩაატარონ სამუშაოები. ძველის მცენება საკვლევო წრეებში ისედაც ნაკლებადაა. დასჭირდათ, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლს - „სახლი საუბისკოპოსო“ უწოდებს, არარსებული საუბისკოპოსოსი და იძახიან ჩვენი. თან გვარცხვენენ, რატომ არ გვაძლევთ? ერთ-ერთ მღვდელს მეცნიერებათა აკადემიაზე სხდომაზე უთქვამს - ძალიან ბევრი აკადემიკოსია, დამლაგებელი კი ვეკლებო. როგორც ჩანს მას დამლაგებელი უფრო სჭირდება მრევლში, კითხვებს არ დასვამს, რომლებზედაც ვერ უპასუხებს.



„ქველის მეგობრის“ ეს ნომერი დაგვიანებით გამოდის, ამიტომ ქველთავეს საშუალება ამ წერილით პასუხი გაეცეთ გაზეთ „ალიაში“ 2001 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ანნისხატის დეკანოზის რევაზ ტომარაძის ბრალდებებს. გაზეთის რედაქციას პასუხი მაშინვე გაუგზავნეთ 7 გვერდზე, მაგრამ როგორც ხშირად ხდება დღეს, მათ არც შეუწყუხებიათ თავი გამოგაპასუხებოდნენ არამთუ დაბეჭდვით.

სტატიის „დატყვევებული ანნისხატი“ რ. ტომარაძე იხსენებს იმ დროს, როდესაც ანნისხატის დეკანოზებს, თურმე „ბატონიშვილებს აშოლტყინებდნენ“, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმაზე, რომ თითქმის ორასი წელი დეკანოზებად აღექვსი - მესხიშვილების ცნობილი გეარის წარმომადგენლები იყვნენ. ცნობილი მწიგნობრობით, ხატმწერლობით, ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებით. აი ასეთი ხალხი იყო მაშინ ანნისხატში დეკანოზად, ამიტომ სახელეო და პატრივოც დიდი ჰქონდათ, და საქმე მარტო ზოგიერთებისთვის ასე სანუკვარ შოლტის დატყერაში როდია.

სტატიის მიხედვით ეკლესიის მსაგერელებად გამოდიან ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც არ აძლევს მათ ანნის უნიკალურ ხელთუქმნელ ხატს, ქველთა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც უშლის ბატრევაზ ტომარაძეს თავისი გემოვნებით გადააკეთოს უძველესი ბაზილიკა. ყველაზე დიდი მატირეებელი, მკითხველი ალბათ მიხვდება, ჩვენ ვართ, იმიტომ რომ აღვადგინეთ ანნისხატი და მისი მიმდებარე ტერიტორია ძველი თბილისის დამამშვენებელ უბნად ვაქციეთ. გავაკეთეთ, ახლა კი საკუთარი შენობიდან რატომღაც არ გავრბივართ. როგორც „მრველის“ წარმომადგენელმა გეთხრა - აქ მათ უნდა გაშალონ ფრთები.

ფონდის ხელმძღვანელობა 25 წელია უდგას სათავეში ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას და სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი მიუღი ის უძრავი ქონება, რომელიც ამ საერთო ნგრევის, დატაცების დროს შევიწარმუნეთ. ყველაფერს გაუძლიეთ და ორგანიზაცია შევიწარმუნეთ. ამ მძიმე პერიოდში, არსებული სიღატაკის ფონზე მაინც ვახერხებთ პოპულარიზაცია გაუკეთოთ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებს, დაეუხმაროთ ხელოვნებათმცოდნეებს, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს გამოაქვეყნონ სტატიები, უახლესი გამოკვლევები გაეცერკვლოთ ინტერნეტით, ნავებაროთ კონფერენციები, შევიმუშაოთ ეკონომიკური პროგრამები, რათა დაედგეთ ფეხზე, გაჩნდეს ფინანსები ძეგლთა კვლევისა და აღდგენისათვის. ჩვენს ორგანიზაციას, არასოდეს არავითარი ფულადი თანხები, გრანტები არ მიუღია და ყოველთვის საკუთარი შესაძლებლობიდან გამოდიოდა.

ალბათ ამის გამოა, რომ მაინც ვარსებობთ და იმედი გვაქვს, რომ იმ პოზიციებს დავიბრუნებთ, რომლებიც ადრე გქონდა და ქართული ხელოვნების მკვლევართ მხარს შევაშეკლებთ.

რამდენიმე ხნის წინ მოხდა უპრეცედენტო მოვლენა. ანნისხატის ეკლესიაში ჩვენს წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

ყველაფერი ეს ხდება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმების განხილვის ფონზე. მივგანია, რომ აუცილებელია საკანონმდებლო დოკუმენტის მიღება, რომელიც დღეს, თურიდოვლადაც განსაზღვრავს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ღირსეულ ადგილს, მაგრამ ვიხაც წაკითხული აქვს ამ დოკუმენტის ვერსიები, დაინახავდა გამოკვეთილ პოზიციას - საქართველოში ასპარეზზე გამოდის ძალა, რომელიც მოითხოვს ქონების ხელახალ გადანაწილებას და ძალაუფლების გაყოფას.



რატომ მიიღო ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის ჩივილმა უკიდურესი ფორმა? ადამიანურია შესთავაზო მეორე მხარეს ან შეკეთების იგივე პირობები და ამის შემდეგ სთხოვო გადაეცინა. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით წინადადების განხილვისათვის, ახლაც და წინა წლებშიც, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არასოდეს, არავის, არაფერი შემოუთავაზებია. შესაძლებელია ეს კუთვება იმისთვის, რომ ჩვენს მაგალითზე, არასახელმწიფო, არაპოლიტიკურ ორგანიზაციისათვის საკუთრების წართმევის გზით, ეკლესიის ზოგიერთი მესვეურნი ცდილობენ თვითდამკვიდრებას - მათთვის ყველაფერი შესაძლებელია, თუნდაც ცილისწამების, უსამართლობის, სხვისი დათრგუნვის, განადგურების ფასადაც. უნდა ითქვას, რომ რელიგიური ექსტრემიზმი (მკალაეი შვილის სინდრომი, როგორც ჩანს, ფეხს იკიდებს) უცნაურ სახესხვაობებს გვაძლევს. ანნისხატის დეკანოზის რვეზ ტომარაძის მიერ არჩეული ჩივილისა და ცილისწამების გზა, მისი მრევლის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი აგრესიულობა, რომელიც თანდათანობით კიდევ უფრო ძაბავს მდგომარეობას, ჩვენი აზრით, მართლმადიდებლობის დისკრედიტაციაა. დღეს ჩადენილი უკეთური ქმედება ხედავ ისტორიის ფურცელია და მას ვეღარ ამოვღებ. „რადგან უკეთური და მისი უკეთურება ღუთისთვის თანაბრად საძულელია, და, რაც გაკეთებულა, მის გამკეთებელთან ერთად დაისჯება.“ (სიბრძნე სოლომონისა თ. 14. ბიბლია 1989წ.)

რაც არ უნდა ძნელი იყოს, რეალობას უნდა გაუსწოროთ თვალი და ნათლად გაეიაზროთ, რომ ეკლესიის წიაღში დიდ მნათობთა გარდა, იყენენ ისეთებიც, რომლებიც იოანე ოქროპირს ერესში ადანაშაულებდნენ. ასეთი იყო ალექსანდრიის პატრიარქი ძალაუფლებისა და ოქროსმოყვარული თეოფილე. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ სწორედ თეოფილეს მიმდევრები მრავალდებიან. ანაფორა ხომ ცოდეისგან არ იცავს ადამიანს.

პაფლე მოციქული ეპისტოლეში „მეორე თესალონიკელთა მიმართ“ გეაფრთხილებს იმ საშიშროების შესახებ, რაც თავს დაგვატყდება:

„თავი 2. 3. ნურც ნურავინ ნურახვით ვაცდუნებთ თქვენ, რადგან არ მოიწევა ის დღე, ვიდრე უმაღ არ მოაწევს განდგომილება და არ ვაცხადდება ცოდვის კაცი ძე წარწყმედიხა.

2. 4. წინააღმდეგომი და იმის მსურველი, რომ თავზე მოექცეს ყველაფერს რაც სახელდება ღმერთად თუ ღუთაებად, ასე რომ ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი, და ღმერთად მოგაჩვენებს თავს“ (ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989).

უშიშიესი წინასწარმეტყველებაა.

არ გვინდა დაეამიძიოთ მკითხველები, მაგრამ არც თავის მოტყუება გემართებს, რომ ყველაფერი კარგადაა, არაფერი არ ხდება.

ჩვენი თაობა მოვიდა ამ ორგანიზაციაში, რომელიც წინა თაობამ დაარსა. ჩვენც უნდა დაუტოვოთ მომავალ თაობებს ის ბაზისი რაც შეაძლებინებს საქმიანობას ეროვნული კულტურის შენარჩუნებისათვის. ასეთი სწრაფვა ადამიანში გაუნელდება. ადამიანი ხომ ისტორიული არსებაა.



საუკუნეთა გადაძახილი

1988 წელს საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულ სექციების გამგეობის მიერ გამოცემულ კრებულ „დარბაზში“ დაიბეჭდა გ. მარჯანიშვილის საეურადღებო სტატია, სადაც პირველად იქნა გამოქვეყნებული ცნობილი რუსი მწერლის ა.კ. ტოლსტოის 1860 წელს იმპერატორ ალექსანდრე II სახელზე დაწერილი წერილი. ვფიქრობთ მასში დასმული პრობლემები საქართველოს დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით განსაკუთრებით აქტუალურია.

ცნობილი რუსი პოეტი, მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი ალექსეი კონსტანტინეს ძე ტოლსტოი იმპერატორ ალექსანდრე II სახელზე შედგენილ თხოვნაში წერდა: „როდესაც დიდმა თავადმა მიხეილმა გამოთქვა ნოვეტოროდში თავისი წმინდანის საპატიოცემულოდ ეკლესიის აგების სურვილი იქ, იმის მაგიერად, რომ უბრალოდ აღესრულებინათ მისი ნება, დაანგრეეს XIV ს. წმ. მიხეილის ძველი ეკლესია, რომელსაც მხოლოდ ჩვეულებრივი რემონტი ესაჭიროებოდა. ფსკოვში ეხლა ანგრევენ ძველ კედელს, რათა შეცვალონ იგი ახალი, ფსევდოძველებური გემოვნებით ნაგები გალავნით. იზბორსკში ყოველწლიურად ცდილობენ ძველი კედლის დამახინჯებას უსარგებლო მინაშენებით. რუსეთის უძველესი, XI ს. (!!!) ძველი ლადოგის ეკლესია რამოდენიმე წლის წინ წინამძღვრის მეცადინეობით იქნა დამახინჯებული. მან გასცა იაროსლავის, წმინდა ელადიმერის ვაჟის დროინდელი მხატვრობის ჩაქუნით ჩამოტეხის ბრძანება, რათა შეეცვალა იგი თავისი გემოვნების შესაფერისი მოხატულობით.

ჩემს თვალწინ, თქვენო უდიდებულესობაჲ, ექვსიოდე წლის წინ მოსკოვში დაანგრეეს ვნებათა მონასტრის სამრეკლო და იგი, მოცუდილი ხის მსგავსად ქაფურნიღზე დაეცა ისე, რომ არ მომტყდარა არც ერთი აგური. იმდენად მტკიცე იყო მისი წყობა, მის ნაცვლად კი ააგეს ახალი ფსევდორუსული სამრეკლო. იგივე ბედი ეწია ივანე მრისხანის ეპოქაში აგებულ ნიკოლა იაველენის ეკლესიას არბატზე.

და ბოლოს, ამ დღეებში მე უბრალოდ ვერ ვიცანი ტრიფონ ნაპრუნის ეკლესია მოსკოვში, რომელსაც უკავშირდება ერთ-ერთი თქმულება ივანე მრისხანის ნადირობის შესახებ. მის გარშემო ააგეს ყოველად უმსგავსო



შენობები, ხელახლა მოაპირკეთეს შიგნიდან და დაავადღეს ვიღაც მხატვარს. ტრიფონის გამოშსახველი გარე ფრესკების განახლება.

მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თუ დავისახელებთ მოსკოვის კიდევ სამი შენობას, რომელთა გამო იქ წასვლისას ყოველთვის ვწუხვარ. უპირველეს ყოვლისა ესაა დიმიტროვკაზე მდგარი მაცხოვრის პატარა ეკლესია... შემდეგ ქართულთა ღვთისმშობლის ეკლესია და, მესამე - მოლიანად შორენკეცებით მორთული კარიბჭე. ორი უკანასკნელი ძველი მეტ-ნაკლებად უვნებელია, მაგრამ პირველისათვის უკვე მოასწრეს თანამედროვე, მოლიანობის უხეშად დამარღვეველი უსახური კარიბჭის მიშენება.

და მთელი ეს უაზრო და გამოუსწორებელი ბარბაროსობა ხდება სრულიად რუსეთში გუბერნატორებისა და უმაღლესი სამღვდულოების თვალწინ და მათი ღოცვა-კურთხევით...

ხელმწიფევ, მე ვიცი, რომ თქვენი უდიდებულესობისათვის განურჩეველი არაა ის მოწინება, რომელსაც ვანიცდის მეცნიერება და ჩვენი შინაგანი გრძნობა სიძველეთა მიმართ... მივატყვევ რა ყურადღებას ამ უმაგალითო ვანდალიზმს, რომელმაც უკვე ქრონიკული თარეშის ხასიათი მიიღო... მე, მგონია რომ ემოქმედებ თქვენი უდიდებულესობის ინტერესების შესაბამისად, ვინც, გაიგებს რა ყოველივეს, ალბათ შეიბრადლებს ჩვენს ძველებს და მკაცრი განკარგულებით მოარიდებს მათ სისტემატური და საბოლოო განადგურების საფრთხეს..."

რა გაკეთდა
არასამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანხებით
რესტავრირებულ ქველთა სია

თბილისი

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	სიონის ტაძარი 1974-83 წწ.	351. 660
2.	სიონის ფრესკების კონსერვაცია 1975	5. 856
3.	სიონის ციციანოვის 1812 წ სამრეკლო 1983-84 წწ	13. 751
4.	სიონის მეორე XV ს. სამრეკლო 1983-84 წწ	10. 977
5.	დიდუბის ეკლესია 1977-79 წწ	63. 060
6.	ბეთანიის სამონასტრო კომპლექსი 1974-78 წწ	178. 594
7.	ბეთანიაში დარაჯის ბინის შეკეთება 1976 წ.	3. 246
8.	ანჩისხატის ეკლესიის რესტავრაციაში ჩვენმა საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო ჯერ კიდევ 1958-62 წწ. დამატებით ჩაატარეთ რესტავრაცია-გამაგრება 1981 წ. და 1989წ.	44. 977 35. 000
9.	შეთელის ქ. 5/7- ქველთა დაცვის საზოგადოების აღმინისტრაციული შენობა 1980-81 წწ	157. 586
10.	საზოგადოების შენობის ხელშეორე აღდგენა 1989-92 წწ.	456 863
11.	ანჩისხატის გვერდით სკვერის მოწყობა 1991 წ	13 930
12.	ბეთელის ტაძარი 1983-89 წწ	380. 605
13.	ნორაშენის ეკლესია 1983-84 წწ	50. 307
14.	ბანიანი სახლები - (შემდგომში დედათა მონასტერი განთავსდა) 1989 წ	149. 990
15.	„ჯვარის მამის“ ეკლესია 1985 წ	32. 679
16.	შარდენის ქუჩის რესტავრაცია 1980 წ	18. 283
17.	შარდენის №29 1982 წ	350
18.	შარდენის ქუჩის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია 1991-92 წწ	473. 094
19.	არქეოლოგიური გათხრების დაფინანსება ერეკლე II მოედანზე 1989-91 წწ	50. 000
20.	სამეფო აბანოს (როსტომის აბანოს) სარესტავრაციო პროექტის და ნაწილობრივ სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოების სახით დაფინანსება 1989-92 წწ	124. 000
21.	ერეკლე მეფის აბანო 1989-90 წწ	166. 590
22.	თბილისის მეტეხის ტაძარი 1981-83 წწ	
23.	დარეჯანის (დარიას) სასახლე 1967	
24.	დარეჯანის (დარიას) სასახლე და კარის ფერისცვალების ეკლესია 1980-82	

მცხეთის რაიონი

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ზედაზენის სამონასტრო ანსამბლი 1980-82 წწ	38. 346
2.	შირიანის საეფარო 1978 წ	11. 150
3.	შელქისედგის კარიბჭე (სვეტიცხოველის ტაძარი) რესტავრაცია 1969 წ	71. 073
4.	შელქისედგის კარიბჭე (სვეტიცხოველის ტაძარი) 1985 წ	15. 000
5.	სამთავრო 1974-78 წწ	12. 400



6.	ხაშიაეროს სამრეკლო 1984 წ	36. 079
7.	წილკანის კომპლექსი 1984-87 წწ	300. 460
8.	მცხეთის ნეკროპოლის გადახურვა 1985 წ.	22. 263
9.	ილია ჭავჭავაძის ხახლ-მუხუხუმი საგურამოში 1986-87 წწ	136. 680
10.	სოფ. დიღომის წმ. გიორგის ეკლესიის პროექტი 1989-90 წწ	20.000

კახეთი

№	ნატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	პეტრეპაელებს ხაფიათი (საგარეჯო) 1974-77 წ	44. 259
2.	ახალი შუამთა (თელავი) 1980 წ	19. 566
3.	ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი (საგარეჯო) 1976-87 წწ	513. 409
4.	კაწარეთის ხაშება (საგარეჯოს რი) 1980-85 წწ.	68. 808
5.	გურჯაანის ყველაწმინდა (გურჯაანის რი) 1982-84 წწ	31. 947
6.	დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ლავრა (საგარეჯოს რი) 1980-84 წწ.	52. 023
7.	მარინეს ეკლესია (ახმეტის რი) 1083-84 წწ	23. 754
8.	ჭერემის არქიტ. კომპლექსი (ბეთლემის ეკლესია) (გურჯაანის რი) 1980-85 წწ	28. 774
9.	ჭერემის არქიტ. კომპლექსი (ღვთისმშობლის ეკლესია) (გურჯაანის რი) 1981-86 წწ.	58. 761
10.	ჭერემის არქიტ. კომპლექსი (წვეროდაბალი) (გურჯაანის რი)	78. 083
11.	ზემო ხოდაშენი (ახმეტის რი)	27. 669
12.	მანავეის არქიტ. კომპლექსი (საგარეჯოს რი) 1983-86 წწ	176. 000
13.	ალავერდის ტაძრის მხატვრობის გამოვლენა და კონსერვაცია 1966-68 წწ.	
14.	ალავერდის ტაძარი (ახმეტა) 1983 წ.	5. 151
15.	გრემის ნაქალაქარის კონსერვაცია 1969 წ	2. 904
16.	გრემის ნაქალაქარი, მთავარანგელოზის ეკლესია (ყვარლის რი) 1987-89 წწ.	52. 490
17.	ნკრესის სამონასტრო კომპლექსი (ყვარლის რი)	25. 000
18.	სოფ. ვეჯინის ყველაწმინდას ეკლესია (გურჯაანის რი) 1988-89 წწ	70. 870
19.	სოფ. ვაქიძის ნათლისმცემლის ეკლესია (სიღნაღის რი) 1989-90 წწ.	59. 960
20.	სანაგორეს ეკლესია (გურჯაანის რი) 1987-89 წწ.	80. 590
21.	ღუბის წმ. გიორგის ეკლესია (ყვარლის რი) 1987-89 წწ.	55. 060
22.	წმ. შიოს ეკლესია (რუისპირში, თელავის რი)	20. 000
23.	მარტყოფის ეკლესია და სამრეკლო 1988-90 წწ.	404 000
24.	სოფ. ხაშმის წმ. გიორგის ეკლესია (საგარეჯოს რი) 1989 წ.	50. 070
25.	უჯარმა, ნაქალაქარის ეკლესია 1978 წ	11 760
26.	იყალით 1978-82 წწ	
27.	ყვარლის ჭავჭავაძეების კარის ეკლესია	
28.	კვერცხის კომპლექსის სამეცნიერო შესწავლა და კონსერვაცია 1979-81 წწ.	
29.	კვერცხობის ეკლესია 1981 წ.	



ქართლი მთლიანად

№	ჩატარებული სამუშაოების და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესია (გორის რი) 1980 წ.	30. 290
2.	პუჯაბი (ბოლნისის რი) 1979 წ.	1. 801
3.	მანგლისის ტაძარი (თეთრიწყაროს რი) 1974 წ.	38. 852
4.	გუდარეხის კომპლექსი (თეთრიწყარო) 1978-85 წწ.	238 960
5.	ქვათახევი 1966-69 წ.	
6.	ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი (კასპის რი) 1978-84 წწ	103. 692
7.	მადღლიანთ ეკლესია (კასპის რი) 1979-80 წწ.	29. 546
8.	ოდლეთის მონასტერი (კასპის რი) 1979 წ.	19. 800
9.	ზედა მანხუთი (ბოლნისის რი) 1983-87 წწ.	112. 061
10.	ქვედა მანხუთი (ბოლნისის რი) 1983-85 წწ.	43. 028
11.	შახმარლო (დმანისის რი) 1980 წ.	40. 000
12.	რკონის სამონასტრო კომპლექსი (კასპის რი) 1980 წ.	16 150
13.	ურბნისი (ქარელის რი) 1984	20 115
14.	ქვემოქალის კომპლექსი (კასპის რი) 1989 წ.	170. 540
15.	ღამაზი საყდარი (დმანისის რი) 1982 წ.	4. 147
16.	სამშვილდის ხონი (თეთრიწყაროს რი) 1984-89	250 648
17.	იკორთის ტაძარი 1984 წ.	170 276
18.	აბელაიანი (თეთრიწყაროს რი) 1981-83 წწ.	18. 451
19.	წითელი საყდარი (კასპის რი) 1983-86 წწ	33. 507
20.	თელათგორის წმ. თევდორეს ეკლ (კასპის რი) 1983 წ.	33. 001
21.	სოფ. ვაკეს ღვთისმშობლის ეკლესია (თეთრიწყაროს რი)	36. 696
22.	ტბისის სამონასტრო კომპლექსი (თეთრიწყაროს რი) 1982-85წწ.	155. 134
23.	კვერცხობის ეკლესია (ხაშურის რი) 1983-84 წწ.	27. 936
24.	მძოვრეთის ეკლესია (ქარელის რი) 1983-85 წწ.	211. 598
25.	ნაბახტევის ეკლესია (ხაშურის რი) 1984 წწ.	24. 891
26.	შინდლარის ეკლესია (დმანისის რი) 1980-85 წწ.	57. 630
27.	მოხისის ეკლესია (თეთრიწყაროს რი) 1985-86 წწ.	86. 583
28.	თევდორეწმინდა (ბოლნისის რი) 1985-90 წწ.	138 890
29.	თევდორეწმინდა (კასპის რი) 1985-89 წწ.	52 247
30.	ყანაეთის კაბენი (ახალგორი) 1985-90 წწ.	329. 425
31.	სოფ. გოხნარის ღვთისმშობლის ეკლესია (თეთრიწყაროს რი)	144. 625
32.	წრომის ტაძარი (ხაშურის რი) 1989-92 წწ.	554. 326
33.	უფლისციხე 1980 წ.	42. 510
34.	უფლისციხის კომპლექსი (გორის რი) 1984-85 წწ	140. 430
35.	სურამის ეკლესია (ხაშურის რი) 1985-86 წწ.	72. 444
36.	გოსტიბეს ეკლესია და კოშკი (კასპის რი) 1989-90 წწ.	54. 870
37.	დაბა ჯავის ეკლესიის პროექტი და რესტავრაცია 1989-90 წწ	42. 500
38.	სოფ. კორინთის (ახალგორის რი) სამეკლესიანი ბაზილიკის ეკლესიით-სამპროექტო სამუშაოები 1991 წ	48. 864
39.	პლარტვისი	
40.	ფრისი	
41.	ყინციხი 1968 წ.	7. 021



დასავლეთ საქართველო

№	ჩატარებული სამუშაოების და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ზემო კრიხი (რაჭა) 1974-76 წწ.	33. 609
2.	სეფეთი (ქუთაისი) 1974 წ.	4. 472
3.	ტიბული ჭინია 1975 წ.	436
4.	მწვანე ყვავილა ეკლესია (ქუთაისი) 1978 წ.	31. 808
5.	წმ გიორგის ეკლესია სოფ შუამთა (ვანის რი) 1988-90 წწ.	89 130
6.	ტაბაკინის წმ. გიორგის ეკლესია (ზესტაფონის რი)	167. 451
7.	ნავენახევი (თერჯოლის რი) 1984-85 წწ.	44. 534
8.	ოსინდალე (ჩხოროწყუს რი) 1987-90 წწ.	254. 027
9.	გვიშტიბის ეკლესია (წვდტუბოს რი) 1977 წ.	1. 520
10.	უწერის ეკლესია (ონის რი) 1986-88 წწ.	97. 517
11.	სქურის ეკლესია (წაღნეჯის რი) 1986-89 წწ.	350. 080
12.	ბოსლევის წმ. გიორგის ეკლესია (ზესტაფონის რი) 1989-90წ.	21. 900
13.	ხონის წმ გიორგის ეკლესია	42. 020
14.	ნოჯიხევის ეკლესია (გაგაჭკორის რი) 1988-90 წწ.	25. 000
15.	სოფ. ნივოზეთის ეკლესიის პროექტი (ჭიათურის რი) 1990 წ.	7 352
16.	სოფ. ნარაზენის ახალი ეკლესიის პროექტი (ზუგდიდის რი) 1990წ.	21. 000
17.	ბელათი სობახტერი 1968 წ.	
18.	ხონის წმ. გიორგის ეკლესია 1967-69 წ.	
19.	გვერდის სახლ-მუზეუმი 1974 წ.	2. 195
20.	ქუთაისის წმ. ელიას ეკლესია XI ს. 1966 წ.	

სამხრეთ საქართველო

(ბორჯომი, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი)

№	ჩატარებული სამუშაოების და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	მწვანე მონასტერი (ბორჯომი) 1978-87 წწ.	421. 060
2.	კუმურდოს ეკლესია (ახალქალაქი) 1979 წ.	159. 887
3.	ხარზმის სამონასტრო კომპლექსი (ადიგენი) 1975-80 წწ.	235. 535
4.	საფარის სამონასტრო კომპლექსი წმ საბას ეკლესია 1980-87 წ.	293 000
5.	საფარის სამონასტრო კომპლექსი „მიძინების ეკლესია“ (ახალციხის რი) 1980-85 წწ.	236007
6.	საფარის სამონასტრო კომპლექსი (სამრეკლო და იოანე ოქროპირის ეკლესია)	68. 063
7.	საფარის სამონასტრო კომპლექსი (სახახლე, სატრაპეზო, გვირაბი, საჯინბო)	493. 590
8.	ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია (ადიგენის რი)	67. 025
9.	წმ მარინეს ეკლესია (ახალციხე)	39. 008
10.	წმ გიორგის ეკლესია (ადიგენის რი)	10. 415
11.	ჭუღეს ეკლესია (ადიგენის რი)	19. 768
12.	სადგერის წმ. გიორგის ეკლესია (ბორჯომის რი)	65. 660
13.	სოფ. აფინას წმ. გიორგის ეკლესია (ახალქალაქის რი)	46. 990
14.	ქარავენ სარაი (ახალქალაქი)	1. 197
15.	როდიონოვის ეკლესია 1981 წ.	400



ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის რაიონები, სვანეთი

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	გერგეთის სამება (ყაზბეგის რი) 1980-81 წწ.	76. 960
2.	მჭადიჯერის არქიტ. კომპლექსი 1984-85 წწ.	61. 599
3.	მჭადიჯერის სამონასტრო კომპლექსზე საპროექტო სამუშაოები 1990 წ.	29. 775
4.	საუფრონის ეკლესია (თიანეთის რი)	40. 107
5.	მუშნი ხაფთიანის კოშკი	-
6.	რადენ ქაღდანის კოშკი	-
7.	ვაღერი ფალიანის კოშკი	-
8.	გრიშა ჩარქსელიანის კოშკი	-
9.	ვახტანგ ჭელიძის კოშკი	-
10.	ლაშარის ფვარი (დაუმთავრებელი დარბა უსახსრობის გამო)	25. 000
11.	აგენისის სამონასტრო კომპლექსი (1989-1991 წწ)	267. 000
12.	ანანურის კომპლექსი (1990 წ)	15 794
13.	კვირიკეს და იელიტას ეკლესია	
14.	სშგულის კომპ. (ნაწ.)	

ობიექტები ჩაბარდა 1987წ.

სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლები: ციხეები, ნაქალაქარები

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ამილახვრიანთ ციხე (კასპის რი 1979-80 წწ)	10. 038
2.	ქოლაგორის ციხე (ბოლნისის რი 1979-82 წწ)	219. 605
3.	უჯარმის ნაქალაქარი (ციხე, გორგასლის სასახლე 1960-88 წწ)	68. 160
4.	უფლისციხის არქიტექტ. კომპლექსი 1980-86 წწ.	71. 046
5.	დმანისის ნაქალაქარი 1980-84 წწ.	25. 897
6.	ხუბურის კოშკი (ხუვდიდის რი) 1981 წ.	123. 575
7.	ვაშლიჯანის კოშკი (თეთრიწყაროს რი) 1983-86 წწ.	130. 873
8.	თამარის კოშკი (ყაზბეგის რი) 1983 წ.	9. 706
9.	ქსნის ციხე (კასპის რი) 1985 წ.	98. 610
10.	ბებრის ციხე 1985-87 წწ.	469. 212
11.	უძველესი ნაქალაქარი - ციხიავორა (კასპის რი) 1982-89 წწ.	241.922
12.	რუსთავის ციხე (რუსთავი) 1987 წ.	125. 172
13.	სხვილოს ციხე 1987-89 წ.	63. 460
14.	მანავის ციხე (საგარეჯოს რი) 1979-84 წწ.	105. 378
15.	შორაპნის ციხე (ხესტაფონის რი) 1988-91 წწ.	138. 480
16.	სამწყერისის ციხე (ქარელის რი) 1985 წ.	20. 000
17.	ხერთვისის ციხის სასახლარის და გვირაბის რესტავრაცია კონსერვაციის საპროექტო სამუშაოები	40. 773
18.	ასპინძის ციხე 1985 წ.	113670
19.	ხორნაბუჯის ციხე 1989 წ.	10000
20.	ვანის ნაქალაქევის კარიბჭე (ვანის რი) 1984 წ.	27. 500
21.	ვანის ნაქალაქევის კეთილმოწყობა 1983-86 წწ.	53. 100

22116





აფხაზეთი

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ბიჭვინთის მუზეუმის მოწყობისათვის - (1976-80წწ.)	33. 910
2.	გაგრაში ისტ. მუზეუმის მოწყობა 1978 წ.	2. 114
3.	ეპისკოპოსის სასახლე ბიჭვინთაში 1975-80 წწ.	78. 781
4.	წებელდის კომპლექსი 1986-88 წწ.	30. 000
5.	ბაგრატის ციხე სოხუმში 1989 წ.	10. 000
6.	ლიხნის სასახლე 1984 წ	33. 000

აჭარა

№	ჩატარებული სამუშაოებისა და/ან ობიექტის დასახელება	თანხა
1.	ვერნების კელესია (ხელოს რ-ი) 1983 წ.	12. 854
2.	ქ. ბათუმში „თამარის ციხის“ კომპლექსის კვლევით-საპროექტო სამუშაოები 1991 წ.	9. 708

სხვა ხარჯები

1.	ქველების ფოტოსტენდების დამზადება - (ყრილობის ფოტო ფორების დამზადება) 1980წ.	4. 014
2.	საპროექტო სამუშაოების დაფინანსება 1980წ.	82. 690
3.	საპროექტო სამუშაოების დაფინანსება 1981 წ	24. 397
4.	გაზბინიშვილის ძველი უნივერსიტეტში 1983 წ.	2. 717
5.	რესტავრაციის დამატებითი ხარჯები 1983წ.	7. 647
6.	ნ.გაბნიძის სახლ-მუზეუმი (გურჯაანის რ-ი) 1984-89 წწ.	175. 759
7.	დამატებითი ხარჯები 1984წ.	56. 606
8.	საპროექტო სამუშაოები 1984წ.	3. 495
9.	დამატებითი ხარჯები	56. 300
10.	რესტავრაციაზე გამოყოფილი დამატებითი ხარჯები 1986წ.	32. 931
11.	საპროექტო სამუშაოებზე გამოყოფილი ხარჯები 1985წ.	2.518
12.	ქველებზე სლაიდების დასამზადებლად	9. 000
13.	საპროექტო სამუშაოები 1989წ.	84. 300
14.	გენერალ გ.მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი კასპში - 1991წ. მთლიანი ღირებულება შეადგენდა 55. 000 - (შემდგომში საზოგადოების უსახსრობის გამო დაუმთავრებელი დარჩა)	30. 000
15.	დმანისის ნაქალაქარი „ზემო აბანოს“ საპროექტო სამუშაოები	18. 951
16.	მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სარემონტო სამუშაოები 1990წ	100. 000

წარმოდგენილი სია არ არის სრულყოფილი. ჩვენი ხახსრებით აღდგენილი ქველების რაოდენობა მეტია, რადგან 1959 წლიდან 1974 წლამდე რესტავრირებულ ქველთა მონაცემები საარქივო მასალაა და ცალკეა შესასწავლი. ზოგიერთ ქველზე დახარჯული თანხები დაზუსტებული არ არის, ამიტომ არც მიუთითეთ. ასევე სიაში არ არის შესული არქეოლოგიურ ქველთა შესწავლისათვის გამოყოფილი თანხები.




სებასტოპოლისის გამაგრების სისტემა (ახ.წ. I-VI სს.)

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ-ბიზანტიურ სასაზღვრო ციხესიმაგრეების სისტემაში სებასტოპოლისი (თანამედროვე სოხუმი) ახ.წ. I-VI სს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავიზღვისპირეთის სანაპიროზე.

1958-1959 წწ. სოხუმის სანაპიროზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სამი სხვადასხვა დროის ციხესიმაგრე გამოვლინდა [1, გვ. 294-295]. სამივე ციხესიმაგრეს მათ დასავლეთიდან ზღვაში დრმად შეჭრილი სოხუმის კონცხი იცავდა, ხოლო სამხრეთიდან კოდორის კონცხი. ჩრდილოეთით, 1-1,5 კმ-ის ვაკე ადგილია, რომელიც მთებითა და ხეობებითაა დაცული.

პირველი ციხესიმაგრე ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნართა და აგურის ორფენიანი სარტყლით. ნაწილობრივ შემორჩენილია კვადრატული ფორმის შიდი კოშკი, ხოლო მთლიანად - ჩრდილოეთის კედელი (სიგრძე - 80 მ, სისქე - 2, 35 მ), რომელსაც მომრგვალებული კუთხეები აქვს, გვეგმაში კვადრატული ფორმისაა. ამგვარი ფორმის ციხესიმაგრეები მომრგვალებული კუთხეებით, დამახასიათებელია ახ.წ. I ს. დასასრულისა და II ს. პირველი ნახევრის რომაული კასტელუმებისათვის. სებასტოპოლისის პირველი ციხესიმაგრის ანალოგიურია ნოეუმის, კარნინტუმის, აკინკუმისა [2, გვ. 54-55] და შეიკენდორფის [3, გვ. 75] კასტელუმები. სებასტოპოლისის პირველი თავდაცვითი ნაგებობა, ამავე საუკუნეებში უნდა იყოს ნაგები, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მასალებიც (ახ.წ. I ს. კოსის ამფორის ფრაგმენტები; ახ.წ. I-II სს. ორეურიანი წითელლაქიანი დოქი; I ს. შუა ხანების ბოსფორული მონეტა) მოწმობენ.



სურ. 1 სებასტოპოლისის ციხესიმაგრეები

სებასტოპოლისის თავდაპირველი ციხესიმაგრე დიდი არ ყოფილა. მისი ფართობი 1 ჰა-ს არ აღემატებოდა და 200-300 ჯარისკაცს თუ იტევდა [4, გვ. 84]. აქ ასეთი მცირერიცხოვანი გარნიზონის არსებობა, შესაძლოა იმით იყო განპირობებული, რომ ამ დროს, რომელთა უმთავრესი ფორპოსტის ფუნქცია აფსაროსსა და ფასისზე გავიოდა, რადგან აქედან, გაბლიერებული იბერიის სამეფოს მხრიდან უფრო ელოდა იმპერიის შორეულ საზღვრებს საშიშროება,



ვიდრე სებასტოპოლისის მონაკვეთიდან. ყოველ შემთხვევაში, პირველი ციხესიმაგრე სანუშერო ანუ მცირე ციხესიმაგრის კატეგორიად უნდა ჩაითვალოს.

მეორე ციხესიმაგრე, პირველთა შუაშტაბი უფრო დიდი ზომისაა, მისი ფართობი 2-2,5 კა, რითაც ის პიტიუნტის კასტელუმის სიდიდეს უახლოვდება [4, გვ. 85]. ახეთი ფართობის ციხესიმაგრე თავისუფლად დაიტყედა ერთ კოპორტას (500-600 ვარისკაცი) და იგი საკოპორტო ანუ საშავლო ციხესიმაგრის კატეგორიას განეკუთვნება. მეორე ციხესიმაგრის კედლები სრულად არაა შემორჩენილი. ნაწილობრივ შემორჩენილია ციხესიმაგრის დასაქველეთი კედელი, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთის კედელი. ამ უკანასკნელის სიგრძე - 140 მ აღწევდა [1, გვ. 299]. მეორე ციხესიმაგრეც, პირველის მსგავსად ვეგმაში კვადრატული ფორმისაა, მაგრამ მისგან განსხვავებით, სწორკუთხოვანია. გალაენის სისქე 2 მეტრამდე აღწევს, რაც 2,45 მით ჩამოუვარდება ძველი დროის გამოჩენილი პოლიორტიკოსის - ფილონ ბიზანტიელის რეკომენდირებულ გალაენის მაქსიმალურ ზომას - 10 დოკტი ე.ი. 4,45 მ (Phil., 3, 1-2). სებასტოპოლისის გალაენის სისქე 40 სმ-ით მეტია აფსაროსის მეორე სამშენებლო პორიზონტის კედლის სისქეზე, ხოლო პიტიუნტის კასტელუმის ზღუდის სისქე - 1,20 მ აღემატება სებასტოპოლისს. აღნიშნულ ციხესიმაგრეთა გალაენის სისქის ზომებში ამგვარი სხვაობა უნდა აიხსნას ამა თუ იმ ციხესიმაგრის მნიშვნელობით საერთო თავდაცვით სისტემაში, საფორტიფიკაციო ელემენტებისა თუ ტოპოგრაფიული თავისებურებებით. ასე მგავალიად, აფსაროსის გალაენის სისქე, რომელიც 1,60 მ უდრიდა, რაც აშკარად არასაკმარისი იყო კედლის სანგრევი მანერებით შეიარაღებული მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად, მითუმეტეს, როცა ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან არტილერიის სიდიდურე ძალზე გაიზარდა. მაგრამ მისი გალაენის ისრის ტუჩოცის ფორნტალური და ფლანგური ფაქტორების გათვალისწინებით ნაგები კოშკებით იყო გამაგრებული. რაც შეეხება პიტიუნტის კასტელუმის გალაენის სისქეს, რომელიც როგორც ითქვა, საკმაოდ აღემატებოდა სებასტოპოლისის ციხესიმაგრის კედლის სისქეს, ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ პიტიუნტი ახ.წ. III-IV სს. ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში რომაელთა უკიდურესი ფორპოსტისა და აღმოსავლეთ შაიზღისპირეთში დისლოცირებული ექსპლაცების მთავარსარდლობის რეზიდენციას წარმოადგენდა.

რამდენადაც, ანტიკური ფორტიფიკაციის წესების თანახმად, გალაენის სისქეს უნდა შეედგინა არანაკლებ 1/2 ან 1/3 სიმაღლე (Phil., 3, 1, 2), შეიძლება ვთვალოდეთ, რომ მეორე ციხესიმაგრის გალაენის სიმაღლე 8-9 მეტრი უნდა ყოფილიყო, რაც ფილონის რეკომენდაციით - 20 დოკტი (დაახლოებით 8-9 მ) ოპტიმალური იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმული კიბებით, გალაენზე ვერ გადასულიყო (Phil., 3, 1-2). ჩვენთვის უცნობია, სებასტოპოლისის გალაენის დაბოლოების ხასიათი. ანტიკური საფორტიფიკაციო პრაქტიკის თანახმად, გალაენზე უნდა მოწყობილიყო „პარაპეტები“ (ძველური კედლები) სათოფრებითა და ქონგურებით [6, გვ. 131]. თუმცა გალაენი ქონგურებთან „პარაპეტებით“ ყოველთვის როდეს ბოლოვდებოდა (Phil., 3, 1). ალბათ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ციხესიმაგრეებთან ქვის არც ერთი „მურლონი“ არ დაფიქსირებულა.

მეორე ციხესიმაგრის კედლების წყობა ნაგებია გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. აფსაროსის, პიტიუნტისა და ჩრდილოეთ შაიზღისპირეთის თანადროული ციხესიმაგრეებისაგან განსხვავებით, სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის კედლის წყობაში გამოყენებულია ხის ძელები. ძელების კომპლექსი, დატანილი იყო პორიზონტალურად სიგრძე სივანეზე, რათა წყობას თანაბარი დაწოლა მიეზღო. კედლის წყობაში ხის ძელების გამოყენების წესი, ვერ კიდევ შესაბამისია და ევკლისური კულტურის ხუროთმოძღვრებაში გვხვდება. ამგვარი წესი დადასტურებულია



სოხუმის გვიან შუახაუკუნეების ციხესიმაგრის წყობაშიც [1, გვ. 389] გალენისა და № 2 კოშკის კედლების კონსტრუქციაში, აგურის საწყობის სარტყელია დატანილი. სარტყლებს შორის მანძილი 1,5-1,17 მ, აგურის ფენების სისქე 0,20-0,23 სმ, სარტყლებში ზოგან ბრტყელი კამაჩიბები გვხვდება.

მეორე ციხესიმაგრის თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ გალენის ქვედა ნაწილს, აგურის მაგიერად, კოხსნარის ერთფენოვანი სარტყელი აქვს შემოვლებული. ციხესიმაგრის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ორი კოშკი, რომლებიც ერთმანეთისაგან 100 მ დაშორებული. ანალოგიითა და ძეგლის სიგრძის მიხედვით, ამ მონაკვეთზე კიდევ სამი კოშკი უნდა ყოფილიყო. ორივე კოშკი, ისევე როგორც პირველი კასტელუმის კოშკები კვადრატული ფორმისაა. როგორც ცნობილია, ამგვარი ტიპის კოშკები ნაკლებად ეშვებოდა და მალევე ინგეროდა არტილერიით, ვიდრე მრავალწახნაგა ან მრგვალი კოშკები (vitr., I, V, 5), რომელთა აგება ერთობ ძვირადღირებული და შრომატევადი იყო. მიუხედავად ამისა, კვადრატული კოშკები ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპს წარმოადგენდა მთელ შავიწივისპირეთში. ასეთი ფორმის კოშკებთან უშეტესად გამაგრებული აფსაროსის [7, გვ. 150]; პიტიუნტის [8, გვ. 82]; ქარაქსის [9, გვ. 24]; ოლბისა [10, გვ. 20, 95] და ტანაისის გალენები [11, გვ. 94] მეორე ციხესიმაგრის კოშკების ფორმის ანალოგიურია, სოხუმის ყურედან 2 კმ-ის დაშორებით, ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომელიც სებასტოპოლისის ერთიან თავდაცვით სისტემაში შედიოდა და ციხესიმაგრის ჩრდილო-დასავლეთის მისადგომებს იცავდა. კოშკის საერთო ფართობი - 6, 30 x 6, 45 მ; კედლის სისქე - 0,90 მ; კედლის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე - 1, 30-1,80 მ. კოშკი დიდი ზომის რიყის ქვებითა და კოხსნარითაა ნაგები. სადარაჯო კოშკი, როგორც იქ აღმოჩენილი მასალები მოწმობენ, II-V სს. ფუნქციონირებდა. სადარაჯო ადგილები, რომლებიც უშეტეს შემთხვევაში, ორი ან სამი სასივანლო კოშკისაგან შედგებოდა, რომაული ღიმიესის აუცილებელი ელემენტი იყო. ამგვარი კოშკები დადასტურებულია დაკოაში [12, გვ. 441-472] და გერმანიაში [13, გვ. 575]. ოთხი ასეთი ახ.წ. პირველი საუკუნეების საგზაო-სადარაჯო კოშკები გამოვლინდა ბოსფორის აზიურ ნაწილში. ისინი წარმოადგენენ ორ-სამ იარუსიან იზოლირებულ კვადრატული ფორმის კოშკებს, რომლებიც მდებარეობდნენ გორგაპიასა და ბატას შორის, სტრატეგიული და სატრანსპორტო კომუნიკაციების საკვანძო პოზიციებზე [10, გვ. 90]. ანალოგიური სურათია ბიჭვინტაშიც, სადაც დღეისათვის გამოვლინილია სამი ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომლებიც პიტიუნტის ერთიან თავდაცვით სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთი მათგანი, მდებარეობს ინკიტის ტბასთან და ციხესიმაგრის დასავლეთ მისადგომებს ეკრავდა; მეორე კოშკი გამოვლინდა ფიჭნარის ახალშენის ნაკრძალში, ხოლო მესამე კოშკი ღიძიავაში, რომელიც ციხეკალაქის აღმოსავლეთ კიდეს იცავდა. მეოთხე კოშკიც უნდა იყოს მოსალოდნელი ჩრდილოეთ მხარეს. ასე, რომ პიტიუნტის მისადგომები, ოთხივე მხრიდან კარგად წანს გამაგრებული.

ანალოგიითა და კოშკის კედლის სისქის მიხედვით, სებასტოპოლისის ცალკე მდგომი კოშკი, ორი ან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო და მისი სიმაღლე, დაახლოებით 10-12 მ. თუ აღწევდა. წყობის ტექნიკითა და ზომებით, მის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს მეგარასთან [14, გვ. 103] და სუნონის (არტია) კონცხზე [15, გვ. 130] მიკვლეული კოშკები. რაც შეეხება სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის დაგეგმარებას, ანალოგებს პიტიუნტის [8, გვ. 81]; ქარაქსისა [9, გვ. 24] და სტალის [16, გვ. 223] ახ.წ. III-IV სს. კასტელუმებთან პოულობს.

პიტიუნტისაგან განსხვავებით, სებასტოპოლისი პონტოს სასახლერო თავდაცვით სისტემაში სამხედრო-სტრატეგიულ როლს IV-V სს-შიც ასრულებდა, რასაც მოწმობს კასტორიუსის IV ს. მეორე ნახევარში



შედგენილი რუკა, სადაც სებასტოპოლისის შეწყვილებული კონსტრუქციები დატანილი, მაშინ როცა პიტუნტი ამ რუკაზე საერთოდ არაა აღნიშნული [1, გვ. 26-29]. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს, ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ფორპოსტის ფუნქცია კვლავ სებასტოპოლისში გადმონაცვლებულიყო. სებასტოპოლისს რომ IV-V სს. არ დაუკარგავს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, ამას მოწმობს მასობრივი არქეოლოგიური მასალები, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ახ.წ. IV-V სს. დათარიღებული ვერტიკალურიანი წითელღიაკიანი ჯამის ფრაგმენტები. შემკული ცხოველების (დედფინი, ტახი, შევლი) რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებებით; V ს. სამოსური ამფორის ფრაგმენტები; პრილაზუგდაპირიანი დოქების ადრეული სახესხვაობები. [1, გვ. 326, 351; 18, გვ. 113]; რაც შეეხება მონეტებს, მართალია IV-V სს. თითქმის სრულიად ქრება სებასტოპოლისში მათი ცირკულაცია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ იმპერიის სხვა პროვინციების, მაგალითად პანონიის მსგავსად [19, გვ. 172] IV ს. მონეტები, IV-V სს-შიც ყოფილიყო მიმოქცევაში.

VI ს-ში სებასტოპოლისი კვლავ ინარჩუნებდა სამხედრო-სტრატეგიული პუნქტის ფუნქციას, თუმცა მესამე ციხესიმაგრის ფართობიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა ახ.წ. III-IV სს. შედარებით, მცირდება. მესამე ციხესიმაგრის ფართობი 0,6-0,8 ჰა-ს არ აღემატება და იგი სანუმეო ტიპის კასტელუმს უნდა განეკუთვნოს. პირველი და მეორე ციხესიმაგრის მსგავსად, გეგმაში ისიც კვადრატული ფორმისაა. მოღიანად შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელი, რომლის სიგრძე - 45 მ, ხოლო სისქე - 1,70 მეტრის სიმაღლე, თავის დროზე 6-7 მ უნდა ყოფილიყო. კედლების წეობა "Opus incertum"-ის ტექნიკითაა გამართული - გრანიტის ქვებითა და აგურით კირხსნარზე [1, გვ. 306]. მართალია, კონსტრუქციაში აგურის სარტყლები არ დასტურდება, მაგრამ შესაძლოა ისინი ქვიშოვან გალავნის ზედა ნაწილს, რომელიც ნაწილობრივია შემორჩენილი. გალავნის კუთხეებთან, ნაწილობრივ შემორჩა ოთხკუთხა ფორმის ორი კოშკი, რომლების დაგეგმარებისა და კონსტრუქციის მიხედვით ახლო დგანან იატრუსისა [20, გვ. 184-199] და მალარის [2, გვ. 37] ადრებიზანტიური ხანის კასტელუმების კუთხის კონსტრუქციას. ყოველივე ეს, საშუალებას იძლევა მესამე ციხესიმაგრე VI ს. პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ასეთია ზოგადად, რომაულ-ადრებიზანტიური ეპოქის სებასტოპოლისის გამაგრების სისტემის კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები.

1. Трапш М. М. Труды 2, Сухуми, 1969
2. Bieracka-Lubanska M. The Roman and early Byzantine fortifications of lower Moesia and northern Thrace. Warszawa, 1982
3. Ubb H. Die archäologische erforschung der severinsorte und des ende der römerzeit im Donau-Alpen-Raum.-Severin. Zwischen römerzeit und völkerwanderungen, Linz, 1982
4. Леквинадзе В. А. Понтийский лимес. -ВДИ, № 2, 1969
5. Winter F. R. Greek fortifications, L., 1971
6. Леквинадзе В. А. Оборонительные сооружения Севастополиса. - СА, I, 1966



7. თოდუა თ. რომაული სამეფარო და საქართველოს შავიზღვისპირეთის სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995
8. აფაქიძე ა. „დიდი პიტუნტი“ - არქეოლოგიური გათხრები თბილისში. - დიდი პიტუნტი I, თბ., 1975
9. Орлов К. К. Архитектурные комплексы Харакса. - Архитектурно-археологические исследования в Крыму, Киев, 1988
10. Буйских С. Б. Фортификация Ольвийского государства (первые века нашей эры), Киев, 1991
11. Арсеньева Т. М., Тапанс-Античные государства Северного Причерноморья, М., 1984
12. Cantacuzino G. Le grand camp Romain situee pres de la comnue de Baneasca. - Dacia, N 9-10, 1941-1944
13. Fabricius E. Limes. - RE, Bd. 13, т. 1, Stuttgart, 1927
14. Tillyard H. W. Two watch-towers in the Megarid. - BSA, vol., 12, 1905-1906
15. Young J. H. Studies in south Atica country estate at Sounion. - Hesperia, XXV, 1956
16. Mitford T. B. Billiotti's excavations at Satala. - AS, XXIV, 1974
17. Aineraria Romana, Romische reiswege an der hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von K. Miller, Stuttgart, 1916
18. აფაქიძე ა., გლორტიყვანიძე თ. - შასაღუბი დიოსკურია - სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. - შაცნე, № 3, 1965
19. Oliva P. Pannonia and the onset of crisis in the Roman Empire, Praha, 1952
20. Иванов Т. К. Римская и ранневизантийская крепость итрус на Дунае. СА, № 4, 1969



ადრე შუა საუკუნეების ქართული სტელების გენეზისისათვის

საქართველოს და სომხეთის ადრექრისტიანული ხანის ძეგლებს შორის სტელებს წინაშეგვლით ადგილი უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ ეპოქის დამახასიათებელ ნიშნადაც გვევლინებიან. მართლაც, არც ქრისტიანულ აღმოსავლეთში, არც ბიზანტიურ სამყაროში მსგავსი ძეგლები არ არის ცნობილი. მაშინ, როდესაც კავკასიის ამ ორ უძველეს ქვეყანაში სტელები ახალი სარწმუნოების დამკვიდრების სიმბოლურ გამოხატულებად იქცა. ბუნებრივად იბადება კითხვა - საიდან უნდა გაჩენილიყო ძველის ეს სახე - ქვის სვეტი, დაკვირვებულნი ვართ? ხომ არ იყო ადგილობრივი რწმენა - წარმოდგენების რეალურ გამოხატულებებს შორის ისეთი ობიექტი, რომელიც შეიძლებადა საფუძვლად დასდებოდა ძველის ამ ფორმას?

ამასთან დაკავშირებით გაეხსენოთ, რომ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი აქვს კიდევ ოცდაათიან წლებში ქრისტიანულ სტელებს მგვალითიან უშუალო გენეტიკურ კავშირში განიხილავდა, თვლიდა მათ სამხრეთ მთიანეთში არსებულ „ვეშაპ-ვეშაპოიდებიდან“ ტრანსფორმირებულ ობიექტად [1]. იქამაგდ ნმარის საზოგადოების სტადიალური განვითარების თეორია მარქსისტულ, ღამის ოფიციალურ მოძღვრებად იყო აღიარებული და მელიქსეთ-ბეგის ზემოხსენებული მოსაზრება ძირითადად მას ემყარება ამის მიუხედავად, ეს მოსაზრება არსებითად არ იყო სრულიად უსაფუძვლო, რამდენადაც ცნობილია, რომ ხალხური წარმოდგენები მეტად მდგრადია და ხშირად მისი სიმბოლური გამოხატულებები შეცვლილ ვითარებაში ახალ შინაარს იძენენ და მხოლოდ ძნელად, თანდათანობით იცვლიან ფორმას.

ძველ სამყაროს არაერთ მხარეში, მათ შორის მახლობელ აღმოსავლეთის ხალხებში შემუშავებულ კოსმოგონიურ წარმოდგენებში, სამყაროს აგებულებაში ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი სვეტს. მისი სამი ნაწილის (ზევის, ზესკნელისა და ქვესკნელის) დამაკავშირებელ ღერძს: ე.წ. ვეშაპ-ვეშაპოიდები ქვისგან გამოთლილ დიდ სვეტებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც მიცემული ქონდათ ფანტასტიური სახე ისინი წყაროს სათავეების მგვარეულ დუთაებებად არიან მანქულნი და, როგორც ბანს, სამყაროს სამი ელემენტის დამაკავშირებლადაც განიხილებოდნენ. ნიშნობილია და ამას ღმელიქსეთ-ბეგიც აღნიშნავს, რომ გვიან ხანაში, ზოგიერთ „ვეშაპზე“ აქვრის გამოსახულება იქნა გამოკვეთილი, ე.ი. ის ქრისტიანულ სტელად არის გადაკეთებული [2].

წარმოდგენამ სვეტის, როგორც სამყაროს ღერძის შესახებ, კავკასიის ძველთაძველი მოსახლეობის, მათ შორის ქართველური ტომების ყოფაში კბოვა გამოხატულება. აქვრ კოდექსი IV-III ათასწლეულების მიჯნაზე შიდა ქართლში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ნამოსახლარები ბრტყელი გადახურული, რომლებიც ვერდნობდნენ ცალკე მდგრად ხის სვეტს [3], ის საბოლოოდ ყალიბდება, არსებობს ათასწლეულების მანძილზე და აღწევს XIX საუკუნემდე როგორც ძირითადი საცხოვრებელი - გლეხის დარბაზი [4].

ცნობილია, რომ დარბაზის ძირითადად კონსტრუქციულ და აზრობრივ ელემენტს დედაბოძი წარმოადგენს ის დგას შენობის შუაგულში საძირკველზე ცენტრალური კერის წინ და იკავებს გადახურვას, ქრდიან ბანს მის და კერის ორგველი



არსებობდა საოჯახო ცხოვრების გარკვეული წესრიგი, რომელიც ბუნების კანონებს ექვემდებარებოდა და მის თავისებურ ანარკულ წარმოდგენდა; დედაბოძის კონსონის სამი ელემენტის დამაკავშირებელ ღერძად განიხილებოდა. მასზე ათავსებდნენ, ქართული ტომების ასტრალური პანთონის მთავარ დეიტაებთან - მხესთან, მთვარესთან და ცისკრის ვარსკვლავებთან - დაკავშირებულ სიმბოლურ გამოსახულებებს: ბორჯღაჯანს, კვადრატს და სხვა სახეებს, მათ შორის ჯვარს, რომელიც ქვეყნის ოთხ მხარეს აღნიშნავდა. ასე რომ, სვეტი სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის შეგნებასა და ყოფაში უცხო არ იყო, როგორც ჩანს, დედაბოძი და მის წინ გამართული კერა უნდა წარმოადგენდეს შემურულ და ხეიურ მთებში აღწერილი სამყაროს წესრიგის ერთგვარ გამოხატულებას. სოცოცხლის ხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში [5] მკურანაშვილს მოტანელი აქვს კერის გამართვის ხეიური რიტუალი, რომლის დროსაც კერაში ათავსებენ ყლორტს და წარმოთქამენ შემდეგ სიტყვებს: როგორც ყლორტის ძირს აქვს განტოტებული ფესვება, ხოლო ზემოთ აყვავებული კვირტება, დაე მფევესა და დედოფალს აქონდეთ ძირს განტოტებული ფესვები და მაღლა განშლილი კვირტები, აეტოი დასძქნს: ამ რიტუალში ჩვენ უხედაუო კოსმოური აქტის განხორციელებას, როცა ქაოსი ნაწყვრდება, ცა და დედამიწა ერთმეორეს სცილდება, მყარდება კულტურა და ბოძი, რომლითაც ის მყარდება, აღნიშნავს კულტურის ცენტრიდან (მასვე მაჩინა, რომ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ცნობილ ვერცხლის სასმისზე გამოხატული ხე, სახელდობრ, ის კოსმოური ღერძია, რომელსაც ფესვები და არა წყარო, როგორცაა აქამდე საყოველთაოდ იყო მიჩნეული ძირს აქვს ვადგმული, ხოლო კვირტები ცაში აღმართული და ეს სარიტუალო სახმისი ფაქტორად თვითონ არის სამყაროს სარიტუალო აღერძი» [6].

იგივე აეტოი იხსენებს ქრისტიანული სარწმუნოების მიღებასთან დაკავშირებულ ამბებს, სახელდობრ, პირველი ტაძრის მშენებლობის მცხეთის სამეფო ბაღში, როცა აქ მოჭრილი კვდარისგან დამზადებული ერთ-ერთი სვეტის აღმართვა ევრაფრთი ევრ შესძლეს, ვიდრე წმ. ნინოს ჩარევით არ დაიქცა წარმართული სარწმუნოების ბურჯები - არმაზი და ზადენი. საბოლოოდ, თვით ქრისტემ არ დაამყარა ადგილზე „სვეტი ცხოველი“ - ბურჯი ახალი რწმენისა და ახალი კოსმოური წესრიგისა [7] ამ პერიოდში, მართლაც ნათლად ჩანს ხილრმისეული, ფარული კავშირი, რომელიც არსებობს ძველ სარწმუნოებრივ წარმოდგენებსა და ქრისტიანობას შორის, სამყაროში არსებული მარადიული წესრიგის გააზრებაში.

ქართლის მოქცევის მოთხრობაში მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები ქართლში პირველი ჯვრების აღმართვის შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს მოთხრობის ერთი ადგილი: „ - ხოლო ეს სასწაულთა ზევისათა ჯუარი პატოხანი ჩუენებითა მცხეთას იყრეს... და მივედით ბორცუსა მას ქუეშე- აღვიდა კლდეცა მას ზედა (წმინდი) და მივიდა ნეტარი იგი ბორცუსა ზედა დასდვა ხელი ერთსა ქუასა და რქუა ერთსა ეპისკოპოსსა: მოვედ, შენდა ჯვრ არსა და დასწერე ჯუარი ქუასა ამას“ და მან ყო ვერეთ და მუნ აღმართა ჯუარი იგი“ [8].

აკად. გარბინაშვილს მოჰყავს ეს ადგილი და აღნიშნავს, რომ მოუხედავად მისი შუღამაზეული დღეგნდარული ხასიათისა, მასში უნდა იყოს ისტორიული მოთხრობის ბირთვი. მართლაც, ამის დამდასტურებლად მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში სტელის ბაზის ფრაგმენტის აღმოჩენაც გამოდგებოდა; მართალია ამ ბაზაზე მოთავსებულ წარწერაში მცხეთის ჯვრის დიდ ტაძრის აღმშენებლები - სტეფანოსი, დემეტრე და ადარნესე ერთსავე იხსენიებიან და მასში მდგარი სტელა მთ მოსახსენიებლად უნდა ყოფილიყო აღმართული მშენებლობის დამთავრების შემდეგ, [9] მაგრამ ეჭვიც არ არის, რომ მარანის დროს ხის ჯუარი, ეს წმინდათაწმინდა სალოცავი, სათანადოდ იქნებოდა დაცული და ქვის მიწებმტებით შეიკვლებოდა.



ცნობა ჯერუბის აღმართის შესახებ სომეხთა მოქცევის მოთხრობაშიც მოიპოვება. იქ ხატვასმით არის აღნიშნული, რომ გრიგოლ განმანათლებელი, ერთადერთი სამღვდელი პატრიუთ არ იყო შემოსილი და გლეხების აგების უფლება არ ჰქონდა, მოქცევასთან დაკავშირებულ სასწაულომოქმედების ადგილებში და ყველა თვალსაჩინო პუნქტში ჯერის ნიშანს აღმართავდა. მოგვიყავს აგაიანგლოზის თხზულების ეს ადგილი: სომხეთის ყველა ქალაქში, საცხოვრებელ ადგილებში, დაბებსა და სოფლებში იგი (გრიგოლ) მოუთითებდა უფლის სახლთა ადგილმდებარეობას. მაგრამ საძირკვლებს არ თხრიდა, არც საკურთხეველს აღმართავდა ღმრთის სახელსუ. რადგან შემოსილი არ იყო სამღვდელი პატრიუთ, ნაკურთხ ადგილებს იგი მხოლოდ კედლებს შემოაუღებდა და იქ ჯერის ნიშანს აღმართავდა აგრეთვე ქუჩებისა და გზების დასაწყისში, მოედნებსა და უბნებში[10].

ამრიგად როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდან საქართველოშიც და სომხეთშიც ჯერით დაგვირგვინებული სტელების აღმართვის ჩვეულება იკედებს ფეხს ჩვენ შევეცადეთ, მოგვეჩვენა ამ ჩვეულების ფესვები ძველ წარმართულ რწმენებში: მისი კვალი ჩანს ქრისტიანობის პერიოდის მონუმენტურ ძეგლებზეც, თუნდაც ბოლნისის სიონის დეკორში.

ნიშნდობლივი უნდა იყოს, რომ დროთა განმავლობაში სტელებს არსებითი ცვლილება არ განუცდიათ. მათი ძირითადი ფორმები და დეკორი იმდენად მდგრადია, რომ ამის მიხედვით მაინც ზურხდება ძველის ზუსტად დათარიღება, მით უფრო, როცა სხვადასხვა ისტორიული პროინციების სტელებთან გვაქვს საჭე და ძელი გადასაწყვეტა, ესა თუ ის ნიშანი ადგილობრივი თავისებურებებით უნდა აიხსნას თუ ქრონოლოგიური სხვაობით. კმახაბლის აზრით, პირველი ქართული საკულტო ძეგლები იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გოლგოთაზე აღმართული ჯერის სახეს გამოხატავენ. ეს საკითხი მას განხილული აქვს დამანისში აღმოჩენილი სტელის ერთი ფრაგმენტის შესწავლისას დაკავშირებით[11]. მასზე ძვირფასი თვლით შემკული ამ ჯერის ორი და იმათი ტოლფასი ერთი გარდულის გარდა წარმოდგენილია ჯერის თავებანისცემის სცენა - ქვაჯვარის წინ ფეხმორთხმული დიდებულის გამოსახულება. სხვაგან იგივე მკვლევარი სტელების პროტოტიპად მდინარე იორდანზე ნათლისღების ადგილას აღმართულ ჯერთან სვეტსაც ასახელებს. ის დასძენს, რომ საყოველთაოდ მიღებული აზრის მიხედვით, ამ ჯერიანი სვეტების შესახებ წარმოდგენა ვრცელდებოდა წმინდა მიწაზე ნაყოფი მლოცველების მიერ ჩამოტანილი ეწ. მონცას ამბულებზე და სხვა ნიუთებზე მოთავსებული გამოსახულების მიხედვით[12]. ასეც უნდა იყოს, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია სვეტის, საერთოდ დედაბოძის დეკორის განსაკუთრებული ადგილი ქართველი ტომების შეგნებაში. უნდა ვთქვათ, რომ თუნდაც ქვეყნობიერად, ამინაც მოახდინა გავლენა პირველი ქვაჯვარების ფორმაზე.)

სტელის ზოგადი ფორმისა და შემკულობის ჩამოყალიბების თანამედვეროლი პროცესის თვალის გადგენებისას ვრწმუნდებით, რომ ის შედარებით სწრაფი და ხანმოკლე იყო. ფაქტობრივად ჩვენ ცოტა რამ ვიცით ქართლში აღმოჩენილი პირველი ჯერების გარეგნული სახის შესახებ, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, ისინი გოლგოთის ჯერის მსგავსად წარმოიდგინება და რამდენადაც სამეფო სახლისა და ერის ქრისტიანულ სარწმუნოებაში მოქცევას - ნათლობას ნიშნავდა, არ უნდა ყოფილიყო დატვირთული არაფრით, გარდა სამკაულისა - ძვირფას ბუდეში ჩასმული პატიოსანი თვლებისა. ეს იყო სამეფო, სახელმწიფო ჯვართა ქართლის მოქცევის ქრონიკაში ხატვასმითა აღნიშნული, რომ წმ. ნინოს მიითიებით მცხეთაში ჯვარს აღმართავს მეფე სამეფობრივად, ამ პირველ ჯვართაგან არც ერთმა ჩვენამდე არ მიაღწია. მკვლევართა უმრავლესობა ქართულ სტელებს VI-IX საუკუნეებით ათარიღებს[13], მხოლოდ ნაუბანიშვილი წერს, რომ „...Судя по реальным памятникам,



она известна с последней четверти V века, но не исключено, что стела могла быть известна в Карли в более раннее время, может быть уже во второй половине V века во всяком случае в первой половине V столетия[14].“ მაგრამ ადრეული ხანების ქართული რელიგიის შესწავლისადმი მიძღვნილ მითითებულ ნაშრომში V და მით უფრო IV საუკუნის მეორე ნახევრის არცერთი არეალური ძეგლი“ დასახელებული არ აქვს. მაშასადამე V საუკუნით დათარიღებულ სტელას ჩვენ ფაქტურად არ ვიცნობთ, როგორც ჩანს, სტელების ფართო გავრცელება VI საუკუნიდან დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებთან, რომლებიც ხდებოდა მახლობელ აღმოსავლეთში, კავკასიაში და კერძოდ ქართლში IV-V საუკუნეებში და V-VI საუკუნეების მიჯნაზე მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის სპარსეთსა და რომს, შემდეგ ბიზანტიას შორის მიმდინარე ბრძოლაში ჩაირყულ და უკვე გაქრისტიანებულ ქართლში ინტენსიურად მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი: 532 წელს სპარსელები ქართლში მეფობას აუქმებენ[15] ხოლო უკვე 15-ოდე წლის შემდეგ ქართლის წარჩინებულებმა - „განაჩინეს ერისთავად გურამი“[16]. ეს იყო პოლიტიკური დაქუცმაცებულიობის, მაგრამ დიდი კულტურული აღმავლობის დასაწყისი, როდესაც ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა ცალკეულ საფეოდალოების მფლობელთა მოღვაწეობას, ამიტომ იყო, რომ თავდაპირველად საკულტო დანიშნულების საღვთაქმე ძეგლმა, ჯეროანმა სტელამ, რომლის აღმართვა და ფლობა სამეფო სახლის პრეროგატივას შეადგენდა V-VI საუკუნეების მიჯნაზე, საკულტოს გარდა იურიდიული და მემორიალური მნიშვნელობაც შეიძინა.

ამასთან დაკავშირებით ნ. შოშიტიშვილი წერს: „კერძოებრივი დიდი ჯერები, პირველ რიგში, საკულტო ნაგებობებია - სათაყვანო ჯერები. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ჯერებზე ან მის კვარცხელ-ბეჭე ამოკეთილია მათი აღმართველის ადგილობრივი უფლის - მამუალის ან მოხელე განმგებლის სახელი, სათაყვანო სტელა ამავე დროს იძენს კიდევ ორ მნიშვნელობას: ა) იურიდიული - აღნიშნავს სტელის დამდგმელის უფლებას ამ ადგილზე, ე.ი. სათაყვანო სტელა ხდება ამავე დროს საუფლოც; ბ) მოსახსენიებელ-მემორიალურს - წარწერა წარმოადგენს სტელის დამდგმელის მოსახსენიებელ ჩანაწერს (ისევე, როგორც ალაპები და მოსახსენიებლები ხელნაწერ წიგნებში.“

სტელა-ჯერებს აღნიშნული იურიდიული შინაარსი აქვთ. პოლიტიკური დაქუცმაცებულიობის ხანაში, როდესაც არსებობდნენ, როგორც ზემოთ აღნიშნული ცალკეული საუფლო - სამამფლოები და როცა ეს უფალი - მამფლები თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ასეთ სტელა - ჯერებით გამოხატავდნენ. ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ სტელა - ჯერები კარგადნენ თავიანთ აღნიშნულ შინაარსს. მათ ადგილის იკაებეს სამეფო სტელა - „ქელი“ ან სამიჯნე სტელა და სამლოცველო ქვაჯვარა[17].

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს, V-VI სს. მიჯნაზე შემუშავდა და დაკანონდა სტელის ის სახე, რომელმაც თითქმის უცვლელად იარსება დაახლოებით სამნახევარი საუკუნის მანძილზე - კუბურ ბაზაზე აღმართული მაღალი ოთხწახნაგა სტელა, დაკორიგონებული ჯერით და შემკული მათ წახნაგებზე დაბალი რელიეფით გამოჭრილი რელიგიური და სიმბოლურ-დეკორატიული გამოსახულებით, ამიტომ გარეგნული ნიშნებით სტელების ადრეული ნიმუშების გამოყოფა, რთულია, მაგრამ შესაძლებელია.

ჩანს, რომ VI საუკუნის ბოლოს ქართული სტელის ფორმირების პროცესი ძირითადად სრულდება ადრეული ხანის სტელებზე (V საუკუნის ბოლო VI დასაწყისი). ხშირია უკვე შემუშავებული ორნამენტული დეკორის ტრადიციული სახეები - ვახის ან მსხვილი ტადილოვანი დერო, დაგრძელებული სადა პალმეტა, პალმეტებისა და ფოთლოვანი ვარდულების მწკრივი, ჯეროანი შტანდარტები. ამ



ელემენტების კომბინაციით მიღებულია დეკორა. ვაზს, ყურძნის მტევანს, ჯეჯერის მტანდარტს, აყვავებული ჯეჯერის მოტივს დიდი ადგილი ეკავა ადრეულ ეპოქაში პლასტიკაში, რადგან ისინი განასახიერებენ ქრისტიანულ სიმბოლოებს (ვაზის და ყურძნის მტევანი საიდუმლო სურათის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, იერუსალიმში შესწავლის მაცხოვარის აყვავებული პალმებით, ბზის ტოტემთა და ყვავულებით ეგვიპტოდნენი შეიძლება ითქვას, რომ ბოლნისის, დმანისის, ხანდისის, ზედა თმოგვის, მამულოს, კატაულის სტელებზე ეს რელიეფები საკმაოდ მაღალი ოსტატობით არიან შესრულებულნი. (ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან შედარებით მოგვიანო ხანით მამულოს და კატაულის სტელები თარიღდება, VII საუკუნის ბოლო VIII საუკუნის დასაწყისი). შემდეგში თანდათანობით სტელებზე მათ ადგილს სოფეტური რელიეფები იკავებენ. ამას მოვყავნებით (VI საუკუნის მეორე ნახევარი) ემატება სოფეტური გამოსახულებები ნახევრები ძველი და ახალი აღთქმიდან.

- ბიბლიური სოფეტებიდან სტელებზე გვხვდება:
- „ცდუნება“ - მამულაანთ სოფლის სტელა.
 - „ბრძანების შეწირულობა“ - მამულაანთ სოფლისა და ბრძანების დიდ სტელებზე
 - „დანიელი ღოშების ხაროში“ - უსანეთისა და ზედა თმოგვის სტელებზე
 - „ეგვიპტო პლასტიკის ნადირობა“ - დავით გარეჯის სტელა.
- სახარების სცენებიდან:
- „შობა“ - საცხენისისა და ბრძანების დიდ სტელებზე
 - „ათლის ღვება“ - უსანეთისა და მუსხის სტელებზე
 - „იერუსალიმში შესვლა“ - უსანეთისა და მუსხის სტელების ფრაგმენტები.
 - „ჯეჯერმა“ - საცხენისის, ბერიჯერის სტელები.
 - „მაცხოვრის ამალგება“ - მუსხის, ნაღარების სტელები, ბრძანების მეორე სტელა.
 - „ღეთისშობლის ამალგება“ - ბრძანების მეორე სტელა, ხანდისისა და მუსხის სტელები, სოფელი-ქალისას სტელა.
 - „ჯეჯერის ამალგება“ - პანტიანი (სტელის ბაზა), მცხეთის ჯეჯერის სტელა.
 - „ღეთისშობლის სულის ამალგება“ - ბრძანების მეორე სტელა.

ბუნებრივია, რომ სტელებზე ეხედეთ წმინდანების გამოსახულებებსაც. (კატაულის სტელა) და სხვა. უფრო მნიშვნელოვანია ისტორიული პირების პორტრეტების და მათი ჯგუფების გაჩენა, რაც საზოგადოებაში პიროვნების მნიშვნელობის მაჩვენებელია.

ბიბლიური და სახარების სცენები სტელების გარდა ამ დროს ძეგლებზე თითქმის არ გვხვდება. (გამონაკლისს წარმოადგენენ კანკელები). ტაძრების დეკორიდან ცნობილია: ქვემო ბოლნისი, ეპანის სიონი, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი და მარტვილის რელიეფები.

VII საუკუნის ბოლოს სტელები თანდათანობით კარგავენ დანიშნულებას. ხშირ შემთხვევაში მათ იყენებენ გველსიების სამშენებლო მასალადაც. ამან, განაპირობა მათი გადარჩენა და ჩვენამდე მოღწევა (სათხე, საკირე, ქვეში, ბუჯაერეთი) რაც შეეხება მცირე პლასტიკას მან თავისი განვითარება ოქრომჭედლობაში კიოვა.

სტელებმა იარსებეს, როგორც ჩანს, VII-IX საუკუნემდე ყოველ შემთხვევაში ყველაზე გვიანდელი ძეგლები - უსანეთისა და კატაულის სტელები - სტილისა და ტექნიკის მიხედვით VIII საუკუნის მიწურულით თარიღდებიან.

ამ დროის განმავლობაში მათ არსებითი ცვლილება არ განუცდიათ. შესაძინვეია მხოლოდ საერთო დეკორატიულობის ერთგვარი გაძლიერება. კუთხის ცრუ სვეტების ნაკვდავ სტელის ოთხივე წიბო ცვრად არის ჩამოკეთილი და დაფარულია სხვადასხვა სახის გეომეტრიული ორნამენტებით. სოფეტური რელიეფებიც მოჩარჩოებულია ისეთივე ორნამენტებით,



დაწერილმანებულა გვერდითი წახნაგების შემამკობელი უკრთიანი ორნამენტული ზოლებიც - ვახის რტო, სხეადასხვა გეომეტრიული მანებრე რკალები, ბადეები და სხე. გარდა ამისა, სვეტის ბოლოს ჩნდება კამაროვანი კაპიტელი - ერთ ან ორსართულიანი ტაძრის მოდელი, შემკული ნაღისებური კამარებით, რომლის გუმბათში მავრდებოდა დამავირგვინებული ვეარი. ჩვეულებრივი კუბური კვარცხლბეკის გარდა ზოგჯერ კეთდება ხარისხებიანი, მრავალწახნაგა ან ისეთი რთული კონფიგურაციის კვარცხლბეკები, როგორც არის ეჭიან ატენელის, ხუნამისის ან მუსხის სტელის ბახები. ეს ცვლილებები ქართული სტელების გარეგნულ სახეში ემთხვევა ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების იმ საფეხურს, რომელიც ადრეფეოდალური დაქვემდებებულობის პერიოდად არის მიჩნეული.[18] სწორედ ამ დროს იძენს ისინი უფრო მემორიალური, იურიდიული, ვიდრე საკულტო ძეგლის ხასიათს, რასაც მათ კვარცხლბეკებზე მოთავსებული წარწერებიც ადასტურებენ.

ის გზა, რომელიც გაიარა ადრეშუასაუკუნეების ქართულმა სტელებმა ისტორიული ცნობიერების მანძილზე (VI-VIII სს) მკაფიოდ გამოხატავდა იმ დროის იდოლოგიას, კულტურასა და ხელოვნების განვითარების მთავარ მიმართულებას. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკენათ, რომ სტელები ის საკულტო მემორიალური ძეგლებია, რომლის მეშვეობითაც შემოვიდა და დამკვიდრდა საქართველოს ხელოვნებაში ქრისტიანული თემატიკა.



1. ღმელიქსთ-ბეგი, მგვალთური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტური ხელოვნების ისტორიისათვის, 1938.
2. ღმელიქსთ-ბეგი. დასახლებული ნაშრომი
3. იჯავახიშვილი, აჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი. 1971
4. იციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. 1995
5. М.Г.Берншвили, Древю жизни. Материалы I симпозиума - «Кавказ и Восточная Европа в эпоху раннего металла» «Мешнереба», Тбилиси, 1988, стр. 254-255ა
6. М.Г. Берншвили, იქვე, გვ. 255-256
7. იქვე, გვ. 256-257.
8. „ქართლის ცხოვრება“
9. Г.Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари. Исследование по истории грузинского искусства, Тбилиси, 1948.
10. თარგმანს ვიძლევით ფრანგული გამოცემის მიხედვით, იხ. V
11. კმაჩაბელი, ქვაჯვარის გამოსახულება ძველ ქართულ რელიეფზე, „საბჭოთა ხელოვნება“ 1988, №7
12. კმაჩაბელი, ადრეული შუასაუკუნეების ქართული ქვაჯვარის მნიშვნელოვანი ნიმუში - ზრდაპორიდან მოხსენება წაკითხულია არქეოლოგიის ცენტრში.
13. ჩაუბინაშვილი, ხანდისი, 1972.
14. იქვე
15. იჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. 1918.
16. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.
17. ნ.შოშიტაშვილი, ქართული წარწერები კორპუსი ლეაპიდარული წარწერები, I აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო (V-XII) თბილისი 1980.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, 1973, შეხავალი.



განვითარებული შუა საუკუნეების მინის ნაწარმი ქუთაისის
ნაქალაქარიდან

მინის ნაწარმი შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების, ქალაქური ტიპის დასახლებებისა და სხვა სახის ძეგლების კულტურული ფენებისა და ე.წ. დახურული კომპლექსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. დიდი რაოდენობითაა ფიქსირებული ადამ. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მინის ნაწარმი მრავლადაა აღმოჩენილი დმანისში, გუდარეხში, თბილისში, რუსთავეში, ბოლნისში, მცხეთაში და სხვაგან (1, გვ. 3-4).

საქართველოში მინის წარმოების მძლავრი საწარმოო ცენტრები არსებობდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრა, რომ მინის პროდუქცია საქართველოს საზღვრებს გარეთაც კი გააქონდათ (2, გვ. 114).

ადამ. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მინის ნაწარმის რაოდენობის ფონზე შედარებით მცირეა დას. საქართველოს ძეგლებიდან მომდინარე მასალა, რაც საქართველოს ამ რეგიონის არაინტენსიური არქეოლოგიური კვლევების შედეგია. მოპოვებულ მასალაში იმპორტი სტარობის (2, გვ. 113).

არსებული ხარვეზი ერთგვარად შეაესო ქუთაისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა მინის ნაწარმმა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეჩვენა ამ სახის პროდუქციის გავრცელების ინტენსიუობა სხვადასხვა ეპოქაში, მისი წამყვანი ფორმები და დაგვიღვინა შუა საუკუნეების ქუთაისში მინის წარმოების შესაძლო ფაქტი.

ქუთაისის ნაქალაქარზე მოპოვებული განვითარებული შუა საუკუნეების მინის ნაწარმი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში (3, გვ. 119-123). მინის ნაწარმი, რომელიც ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა, გამოიყოფა ორი სახეობა: ჭურჭელი და სამკაული.

ა) მინის ჭურჭელი

სუფრის ჭურჭელი ქუთაისის ნაქალაქარზე მოპოვებული სასმისები გამოირჩევიან დახვეწილი ფორმებითა და სიმრავლით. მათში შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო ოთხი ტიპი. ისინი დამზადებულია თაყისუფალი ბურთით.


I ტიპი. ჭიქისებური სასმისი ნაქალაქარზე ძალიან გავრცელებული ტიპია. მას აქვს ცილინდრული ტანი და შეწნეული ძირი. მინა წერილობითი ტიპისაა და მომწვანო ფერისაა (ტაბ. 3). მათში გამოიყოფა სხვადასხვა სიდიდის ცალები, ხოლო ფსკერის მოყვანილობის მიხედვით ჭიქისებურ სასმისებში შესაძლებელია გამოიყოს განსხვავებული ვარიანტი (I) (ტაბ. 4). მსგავსი სასმისები სხვადასხვა ძეგლებზე გვხვდება და როგორც ჩანს, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული XI-XII სს. საქართველოში (4 გვ. 101, ტაბ. XXXII-46).

II ტიპი. ფეხიანი ძირშედრეკილი სასმისები ნაქალაქარზე საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული (ტაბ. 8). მათთვის დამახასიათებელია თხელი, მუქი მწვანე ფერის მინა, რომელიც ზოგჯერ გაუმჭირვალეა ან ოდნავაა გამჭვირვალე მინა კარგი ხარისხისა და იშვიათადაა გამოვლენილი. როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქსელისანი სასმისები იერთო ძაბრისებურ სასმისებს ემსგავსებიან, მაგრამ მათგან განსხვავებით ახასიათებთ უფრო დაბალი და განიერი პროპორციები (4, გვ. 101, ტაბ. XXXII-52). მსგავსი სასმისები საქართველოს გარდა გავრცელებულია ჩრ.



კავკასიაში და თარიღდება XI-XII სს, (4 გვ 101). ამ ტიპში შეიძლება გამოიყოს
 ბრტყელი და ფსკერგამობურცული ქვები (1) (ტაბ. 7).

ს. ი. ბ. მ. ი. მ. ი. მ. ი. მ.





III ტომი. აერთიანებს იმ სასმისებს რომელთაც აქვთ სარტყლიანი ძირი (ტაბ. 16). ისინი ნაქალაქარზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათთვის დამახასიათებელი ცილინდრული ტანი და მომწვანო-მოლურჯო ფერის მინა, რომელიც ზოგჯერ ძლიერადაა გამოფიტულია.

ძირსარტყლიან სასმისებში გამოიყო განსხვავებული ვარიანტი (I) (ტაბ. 5), რომელსაც ფაღისებური მოყვანილობა უნდა ჰქონოდა. ასეთი სასმისები ფორმით იმეორებენ ნაქალაქარზე და საერთოდ საქართველოს XI-XIII სს-სთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფორმას. სარტყელშემოღებული სასმისები საქართველოს ძველებზე ფართოდ გავრცელებული ტომია და ზოგადად XI-XIII სს. დათარიღებული (I, გვ. 36, ტაბ. VI-7-9).

IV ტომი. ძაბრისებრი მოყვანილობის მაღალი სასმისის რამოდენიმე ფრაგმენტია ნაპოენი ნაქალაქარზე (ტაბ. 26). სასმისის მინა მომწვანო ფერისაა, კედელი თხელია და თეთრადია გამოფიტული. მსგავსი სასმისები საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. მას ჰქონდა მაღალი და ეიწრო ტანი, რომელიც შემდეგ იყო ძაფებითა და კოპებით. ისინი აღმოჩენილია რუსთავეში (ნაციხვარი, ნაქალაქარი), თბილისის სახელოსნოში, დმანისში, სიონში და სხვაგან. სასმისები შექმნილია მოქალაქებისათვის ყოფილა განკუთვნილი და თარიღდება XII-XIII სს. (I, გვ. 38-40, ტაბ. VII).

ბოთლი (ტაბ. 20) ძირშენჭეულია და სქელკედლიანი. მინა მწვანე ფერისაა და ბუშტულაკებანია, იგი სუსტადაა გამოფიტულია. ძირის $d=10$ სმ. ბოთლის გაშლილი პირი, ეიწრო ყელი და კონუსური მოყვანილობის ტანი უნდა ჰქონოდა, ისეთი, როგორც რუსთავეის ნაციხვარზე აღმოჩენილ ბოთლს, რომელიც XII-XIII სს. დათარიღებული (I, გვ. 43, ტაბ. IX-8). ქუთაისის ნაქალაქარზე ამგვარი ბოთლის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია მოპოვებული ბაგრატიონების სამეფო სასახლის კოლექტორის ნგრევის ფენაში.

მინის ყურის ფრაგმენტები (ტაბ. 13, 30) თუ რომელ ჭურჭელს განეკუთვნებან ისინი ძნელი სათქვამია. შესაძლებელია, მომწვანო ფერის წვილიბუშტულაკებანი მინისაგან დამზადებული ყურის ფრაგმენტები ტოლმისებური ჭურჭლისა იყოს, ხოლო კლასიკულიორმანი ყურის ფრაგმენტები ვარდციხეშია აღმოჩენილი და იგი სხვა მინის მასალასთან ერთად X-XI სს. დათარიღებული (5, ტაბ. XXIX-8).

ღამპარი, თიხისა და ლითონის ჭრაქებთან ერთად საკმაოდ გავრცელებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთია, რომელიც ლითონის ბუდეში იდგმებოდა. იგი ფართოდაა გავრცელებული ადრეშუასაუკუნეების პერიოდის საქართველოში. არსებობს აზრი, რომ სასმისთა უმრავლესობას ღამპრებადაც იყენებდნენ (I, გვ. 29 - 30). ღამპრებში შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო ორი ტაბ: ბურთულიანი და ყურანი ღამპრები. ისინი გამოხურეთაა დამზადებულია.

I ტაბი. ბურთულადიორანი ღამპრის ფრაგმენტია აღმოჩენილი (ტაბ. 1,2), მათში მხოლოდ ორამენტისა (ქედების რაოდენობა) და ფორმის მიხედვითაა მცირეოდენი განსხვავება. ორივე ბურთულადიორანი ღამპარი კულტურულ ფენაში ერთად აღმოჩნდა და რადგანაც იმავე კულტურულ ფენაში ბურთულიან მორგებთან აღმოჩნდა ღამპრის კედლის ფრაგმენტები, რომლებიც იმეორებენ ბურთულების მინის ფაქტურას, ფერს და ერთნაირად არიან გამოფიტული, კედლის ფრაგმენტები ბურთულებს მიეკუთვნეთ და დაახლოებით ალეადგინეთ.

მასალის ზუსტი ანალიზები სხვა ძველებიდან ჩვენთვის უცნობია. თუმცა ბურთულადიობილოებული სხვადასხვა სიმაღლის ფეხიანი ღამპრები ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადრეშუასაუკუნეების აღმ. საქართველოს ქალაქებში. ისინი ზოგადად, დამუხლდუფებიან ღამპრებთან ერთად, VI-X სს. დათარიღებული (I, გვ.2



30). ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ღამბრუნის მინა მომწიანო მჭრეტელისაა და თეთრადაა გამოფიტული. მათ ფეხი არ გამოყოფათ, რაც მათ ახორციელებს საქართველოს ქალაქების დამახასიათებელ ცალებს და გამოირჩევა მათ ვრთ ქრონოლოგიურ ვჯუფში გაერთიანებას. „ქუთაისური“ ღამბრუნ აღმოჩენის პირობებისა და თანმხლები მასალის გათვალისწინებით (მრგვაღვანიკეთიანი მოღურჯო ფერის სამაჯურა, წნხებით ნაბრუნები კახები და სხვ.). შესაძლებელია ზოგადად დათარიღდეს IX-XI სს-ით.

II ტიპის პატარა ყურებიანი ჩამოსაკიდებელი ღამბრუნის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. - 31) მისი მინა მწიანე ფერისაა, გამოფიტულია მოთეთრო-მოყვითალოდ. ასეთი ღამბრუნის ყურის მხოლოდ ვრთი ფრაგმენტია აღმოჩენილი ნაქალაქარზე, რაც ართულებს ამ ტიპის ღამბრუნზე უფრო დაწერილივით მსჯელობას. საერთოდ კი პატარაყურებიანი ჩამოსაკიდებელი ღამბრუნები ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული და უფრო გვიანაც აგრძელებენ არსებობას. ისინი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული IX-XIII სს (7, გვ. 134-135, ტაბ. XXXII-4).

ბ) მინის სამკაული

მინის სამაჯურები განსხვავებული ტიპებისაა და ვრთიანდებთან სხვადასხვა ვჯუფში დაჯგუფებას საფუძვლად დაედო მასალის დამზადების ტექნიკა, ცალკეულ ტიპებში გამოიყო განსხვავებული ვარიანტები:

I ვჯუფი: სამაჯურება, რომლებიც დამზადებულია მრგვაღვანიკეთიანი მინის ღეროს გაჭიმვით.

ტიპი I. მრგვაღვანიკეთიანი სადა სამაჯურები (ტაბ. 16) ქუთაისის ნაქალაქარზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათ აქეთ ვლვეი ზედაპირი და ზომიერი დიამეტრი. ამ ტიპის სამაჯურები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ადრე ფუოდაღურ ასევე შუა ფუოდაღურ ეპოქაში (2, გვ. 105). პირველი ტიპის განსხვავებული ვარიანტი (I) შეადგინეს ცალებმა, რომელთაც ზედაპირზე აქეთ ბურცობები და ღარები (ტაბ. - 17). მრგვაღვანიკეთიან სამაჯურებში გამოირჩევა შავი ფერის ცალები (ვარიანტი II), რომელთაც ზედაპირზე კარგად ეტყობა ცხელი მინის გაჭიმვის შედეგად მღებული წარმბლებული ხაზები (ტაბ.15) ეს სამაჯურები დაუდგურადაა ნაკეთები პირველ ტიპში შემაგალი სამაჯურები აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით XI-XIII სს. თარიღდება.

ტიპი II. ფვრადი ძაფებით შემკული სამაჯურები, მრგვაღვანიკეთიანი სამაჯურებისათვის დამახასიათებელია მოღურჯო ფერის მინა. მათი ზედაპირი შემკულია თეთრი და მოწითალო მინისაგან შედგენილი ძაფებით (ტაბ. - 9). ამ ტიპში გამოიყო ცალკე ვარიანტი (I), რომლისათვის დამახასიათებელია შავი ფერი და უფრო მჭიდრო განლაგებული თეთრ-წითელი ძაფებით შემკობა. ფვრადი ძაფებით შემკული სამაჯურები აღმოჩენილია დმანისში და ისინი ნაქალაქარის კულტურული ფენების მიხედვით XI-XIII სს. დათარიღებული (2გვ. 107) ქუთაისის ნაქალაქარზე ამგვარი სამაჯურის ვრთი ფრაგმენტია აღმოჩენილი XI-XIII სს. კულტურულ ფენაში.

II ვჯუფი: სამაჯურები ფიგურული ღეროთი.

ტიპი I. სამკუთხა განიკეთიანი სამაჯურები (ტაბ. 19) სხვადასხვა ფერისაა. გვხვდება როგორც შავი, ასევე ცისფერი, მწიანე და მოყვითალო ცალები, ისინი სხვა სამაჯურებთან შედარებით უმრავლესობას შეადგენენ. შავი ფერის სამკუთხანიკეთიანი სამაჯურები გავრცელებული ტიპია აღმ. საქართველოს ქალაქებში. ისინი ზოგადად IX-XIII სს. დათარიღებული (2გვ. 110).



ტიპი II ორმხრივლარიანი და ქვლებიანი სამაჯურის რამოდენიმე ფრეზირებული აღმოჩენილი ქუთაისის ნაქალაქარზე (ტაბ. 11) მათში გამოიყო მუქი ყვითელი, მუქი ლურჯი, ცისფერი და მომწვანო ფერის ცალები. ჩუქნთვის უცნობია ფორმით ანალოგიური მასალა სხვა ძველებიდან. სამაჯურები აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით შესაძლებელია დათარიღდეს XI-XIII სს.

III ვგუფი გრეხილი სამაჯურები.

ტიპი I წერილად გრეხილი სამაჯურებისთვის დამახასიათებელია მრგვალგანიკვიანი დირო (ტაბ. 10). ისინი უმნიშვნელო რაოდენობითაა აღმოჩენილი ნაქალაქარზე. მათთვის დამახასიათებელია შავი ან მოღურჯო-მომწვანო მინა.

გრეხილ სამაჯურში განსხვავებული ვარიანტი (I) შეადგენს სამაჯურმა, რომელთათვის დამახასიათებელია მსხვილი გრეხილობა (ტაბ. 18). ისინი დამზადებულია გამოუფრთხავი მწვანე შავი ან ლურჯი მინისაგან. მსხვილად გრეხილი სამაჯურების ზოგი ფრაგმენტები დაბრტყელებულია შუა ნაწილში.

გრეხილი სამაჯურები ფართოდაა გავრცელებული შუასაუკუნეების (X-XIII სს) საქართველოში. ისინი მრავლადაა მოპოვებული ჩრ. კავკასიაში, სარკელში და თმუტარაკანში (2, გვ. 105). გრეხილი სამაჯურები ასევე დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ორბუთისა და ნატეურის სახელოსნოებში. სხვაგან აღმოჩენილ სამკაულში გამოირჩევა წერილად და გაშლილად გრეხილი ცალები. გრეხილი სამაჯურები ზოგადად IX-XIII სს. დათარიღებულია (2, გვ. 110-111; 6, გვ. 94-95, ტაბ. XX-5). ქუთაისში აღმოჩენილი სამაჯურები მათი მოპოვების პირობების გათვალისწინებით X-XIII სს. თარიღდება.

არსებული მასალა საშუალებას არ იძლევა დაბეჭდვით გამოვლინოთ ქუთაისში მინის წარმოების ფაქტი, თუმცა განათხარ მასალაში მინის ნაწარმის სიჭარბე, ამასთანავე მინის ნაღველების და წუნდებული (დეფორმირებული) ფრაგმენტების აღმოჩენის რამოდენიმე შემთხვევა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ქალაქში მინის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა (ზოგიერთი სახეობისა მინც). სატახტო ქალაქში (X-XI სს) მინის წარმოების არსებობა აუცილებელიც კი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამგვარ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილობა იყო არა მარტო საქართველოში, სადაც მინის წარმოების საქმოდ მაღალი დონე და პოტენციალი არსებობდა, არამედ საზღვარგარეთაც, რაც არა უფრო ფაქტითაა დამტკიცებული.

ქუთაისის სამეფო კარი, საეარაუღო, იზრუნებდა სატახტო ქალაქში მინის წარმოების ორგანიზებაზე, რომლის პროდუქცია ფულად-სა საქონლო და საგარეო საეაქრო-ეკონომიკური კავშირ-უზიარეობების პირობებში, რომელშიც საქართველო ინტენსიურად მონაწილეობდა, მაღალი შემოსავლების გარანტია იძლეოდა.



1. მ. ჩხარტიშვილი, მინის ტურპული შუა საუკუნეთა საქართველოში. თბ. 1978.
2. მ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVIII თბ. 1969.
3. ო. ღანჩავა, ქუთაისი ვერის-ღაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი 1996 წ.
4. ს. რამიშვილი, იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სოფი. თბ. 1970.
5. ე. მ. ვაიფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი. თბ. 1989 წ.
6. მ. ჩხარტიშვილი, მცხეთაში, სეგტიკხოვლის ტაძართან აღმოჩენილი მინის ნაწარმი. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. V თბ. 1987 წ.
7. მ. ჩხარტიშვილი, მინის ნაწარმი ღამაში გორიდან. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. IV თბ. 1988 წ.



სამარხებში ჭეირულ ბაღათათა მდებარეობისათვის

სახოგადობისათვის კარგადაა ცნობილი ქართული ჭეირული ბაღათები მათი არაერთი პუბლიკაციის მეშვეობით.[1] მანჩუღია, რომ იგი საქაშრე ბაღათა. მე მისი ფუნქციის შესახებ ჭეირე გამოიყოქე მრავალი მიზეხის გამო ჩემს ერთ-ერთ წერილში[2]. იქ მე ბაღათებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც განვიხილავდი, რომლებსაც აქ აღარ დაეუბრუნებდი. ჩემის აზრით „ბაღათები“ წელზე კი არა, არამედ მკერდზე მაგრდებოდა და წარმოადგენდა სამხედრო აღჭურვილობის ნაწილს, ერთდროულად ფარსაც და სატყრებელსაც ხელჩართული ბრძოლების დროს და ამასთანავე მუომრის პირად ემბლემას, რომელიც შეიცავდა დედაებრივ და ამოთრთაპულ ცხოველთა გამოსახულებებსაც. ის აზრიც გამიძლიერდა, რომ ერთგვაროვანი კომპოზიციის და გამოსახულებების შემცველი ბაღათების მფლობელები ერთ სამხედრო შინაერთში ერთიანდებოდნენ.



წარმოდგენილი მქონდა „ბაღათების“ არეალის რუკაც, სადაც ჩანს, რომ მათი მფლობელები კონცენტრირებულნი იყენენ დიდი კავკასიონის გადასასვლელებთან მოძრაობდნენ ძველი საქართველოს სამხედრო გზებზე.

მართალია მათი უმრავლესობა შემთხვევითაა მოპოვებული, მაგრამ არქეოლოგთა მიერ გამოიღწევილიც მრაველია და სამარხთა აღწერილობებისას უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია, რომ ბაღათა აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში[3]. ეს დოკუმენტია და მათთვის გვერდის აელა არ შეიძლება. მანამდე ის რამდენიმე ნიშანი მინდა აღვნიშნო, რომლებიც ჩემი აზრით გამოიციხავენ მათ საქაშრე ბაღათებისადმი კუთვნებებსაც: ბაღათები კუთხებში შეიცავს კოპებს, ზოგიერთ სახეობაზე ისინი 5-6 სმ-ის სიგრძისანი არიან და ბოლომდე წამახუნნი. ეს თავისთავად მანიშნებს იმაზე, რომ მათ გარკვეული ფუნქცია აქვთ წელის არეში ისინი ბევრ უხერხულობას შექმნიდნენ, თუნდაც იმატომ, რომ აქ ხელის მტკვნების მოძრაობის არეალია. აღარაფერს გამოობ მაგებზე ვთქვათ ქარაშიდან მახვილის ამოღებისას და ა.შ. ბაღათების სიდიდე

(სიგანე) 9 დან 17 სმ-მდე. თუ 9 სმ-ის სიგანის ბრტყელ ფირფიტას კიდევ დაემაგრებთ წელზე, 12 სმ-იანი და უფრო დიდი „ბაღათები“ იქ ვერაფრით გაიხრდებოდა. ყურადსაღებია მათი უკანა მხარეც; იგი ერთ კიდევზე შეიცავს ვიწრო რგოლის, ხოლო მკერდზე, ასევე რგოლის ოლიონდ პირგახსნიდის ანუ კაეს ამრთავად ეს



დეტალები შეიძლება მხოლოდ თასმის ღვედის გასაყრელად გამოდგეს. ამასთანავე მათი უკანა მხარე პერიმეტრზე „პორციურსაც“ შეიცავს, რაც იმის მოწმობაა, რომ ბაღთის ზურგზე მივლს ფართობზე თეკა ან ტყავის ბალიში იყო ჩაფენილი ასეთი რამ ცხადია სავსებით ბუნებრივია, თუ იგი მართლაც მკერდზე იყო მიმაგრებული.



2



3

მუხლიკაციებში კი მტკიცეა აღნიშნული, რომ „ბაღთობა“ სამარხებში მიცვალებულიან მიმართებაში წელის არეში (ან მუცლის არეში) დასტურდება, მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ მათი თავდაპირველი მდებარეობა სხეულზე სამარხებში ზუსტად იყოს შენარჩუნებული? ეფიჭობ, რომ „შევიღმას“ სიტყვიერი აღწერილობისას რამდენიმე მომენტი იწვევს მიცვალებული წვეს მარცხენა გვერდზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იშვიათი შემთხვევის გარდა, ბაღთას სხეულზე დაფიქსირებულს ვერ წააწყდებით. მიცვალებული ამავე დროს მოკრუნულ

პოზაშია და ნიკაპიდან მუხლის თავებამდე მაქსიმუმ 40 სმ-ი თუ იქნება მანძილი და ამ არეში მდებარე ბაღთა ეიზუალურად არის კიდევაც „წელის არე“. ეს არე კი მოიცავს თავის ქალსა, მკერდს, მუცელს, მჩრცხსა და მუხლებს.

მკვლევართაგან არაერთს აღნიშნავს სამწუხაროდ, თუ სად ფიქსირდება თეთი ქამრის ან ღვედის კედი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მონასტრის სამაროვნის გათხრებისას დოკუმენტურად დადასტურდა იმ ბაღთის ღვედების მიმართულება, რომელიც თვითონ „წელის არეში“ იყო. ღვედი ზურგს უკან მხრებსა და კისერზეა გადადებული(4), რაც სრულიად ცხადს ხდის იმას, რომ ბაღთა მკერდიდან დაცურდა.

დადასტურებულია ისიც, რომ ბაღთა არსადაც არ „წასულა“. 1939 წელს ბრძელში წარმოებული გათხრების საველე დაეთარში გერმანე გობეჯიშვილის მიერ აღნიშნულია, რომ №8 ქეაყთოში ბაღთა თავის ქალის არეშია ფიქსირებული(5). 1938 წელს კი შოშეთში ფიცი ბ-ნ გ. გობეჯიშვილის მიერ გახსნილ №5 სამარხში ბაღთა მიცვალებულს მკერდზე უკანა დაფენილი(6).

ამდრად ეფიჭობ, რომ „წელის არე“ ან „მუცლის არე“ აღნიშნულ მდგომარეობაში მხოლოდ პირობითი აღნიშნაა და დაკონკრეტებულად, კი იგი მხოლოდ „მკერდის“ არე შეიძლება იყოს, კიდევ ერთხელ მომაყეს რეკონსტრუქცია - ბაღთის მდგომარეობა მკერდზე და შესაძარბელად ვერუსკო მუომრის გამოსახულება მკერდზე დამაგრებული მრგვალი ფართი.

ილუსტრაციების აღწერილობა:

1. მონასტერი, სამარხი ჭვირული ბაღთითა და თასმებით.
2. „ბაღთა“ მუომრის მკერდზე (რეკონსტრუქცია).
3. მუომარი კაქსტრანოდან.

1. იხ. თუნდაც მხიდაშულია, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ. 1972. გვ. 3-120. დაბ. I-XX.
2. გ. ყოფიანი. ბრინჯაოს ჭეირულ ბაღათათა ატრიბუციის საკითხები. კავკასიის მაცნე №1 თბ. 2000. გვ. 80-91.
3. იხ. შტ. Б.В. Техов. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии Тб. 1971. გვ. 234, 235, 236.
4. Р.Х. Гаглоев, Об одном женском погребальном комплексе из Монастырского могильника. Известия. Вып. XXV, Юго-Осетинский научно-исследовательский институт. Тб. 1980. Табл. I. стр. 32.
5. იხ. 1939 წლის გათხრები ბრილში. საეკლესიო დაეთარო. სსმ.
6. იხ. 1938 წლის გათხრები შოშეთში. საეკლესიო დაეთარო. სსმ.
მადლიერებით მინდა აღვნიშნო საეკლესიო დაეთარებზე მუშაობისას ქ-ნ დევიდა ფანცხაეას დახმარება.



ბესო ჯორბენაძის ხსოვნა

ოთარ ლორთქიფანიძე
აკადემიკოსი

კაცი ნათელი

თავზარი დამეცა როდესაც შევიტყვე, რომ ბესო ჯორბენაძე უკურნებელი სენით დააეადდა. მაინც მჭონდა ცოტაოდენი იმედი, რომ ბესო დაამარცხებდა ავადმყოფობას და ერთ ხანს მაინც იცოცხლებდა. ასეთ იმედს თვით ბესო იძლეოდა. ავადმყოფობაზე არასოდეს წუწუნებდა, მხნედ იყო და მისთვის ჩვეული ენერგიით მუშაობდა, ახალ გეგმებს აწყობდა. ასეთი იყო ბესო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. უკვე ლოვინად ჩაგარდნილიც კი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მის სახლში რომ მოვიჩახუდუე, კვლავ საქმიეებსა და ახალ მრავალ ჩანაფიქრზე მესაუბრებოდა წყნარად, დაჯერებულად და იმედიანად.

ვაი, რომ სულ რამდენიმე დღე რჩებოდა თურმე გარდაცვალებამდე-

ბესო ჯორბენაძე სრულიად გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა. გამორჩეული სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, მისი პროფესიისადმი სანიმუშო თავდადებით, ოჯახისადმი ერთგულებით, მოყვასისადმი და საერთოდ, ადამიანისადმი იშვიათი კეთილგანწყობით.

ბესო ჯორბენაძემ უდიდესი, განუზომელი ღვაწლი დახლო საქართველოში არქეოლოგიური მუცნიერების განვითარებას. ჯერ კიდევ სტუდენტობიდან (ხოლო თვითონ კი ამბობდა - დაბადებიდანვე) აირჩია მან არქეოლოგის პროფესია და ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს თავდადებით ემსახურა მას, ერთი წუთითაც კი არ უღალატია მისთვის...

ბესო ჯორბენაძე იდგა მუდამ რამინ რამიშვილის გეგრდით ენგელის ექსპედიციაში. საყოველთაოდაა ცნობილი თუ რა უმძიმეს პირობებში მუშაობდა ეს ექსპედიცია, რომელმაც ასეულობით უნიკალური ძველი ეროვნული კულტურისა გადაარჩინა, მაღალ მუცნიერულ დონეზე შეისწავლა და შემოუნახა მომავალ თაობებს. დიდია ბესოს დამსახურება ენგელის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის ორგანიზაციაში. მისი უშუალო მზრუნველობით და თავდადებით შეიქმნა მშვენიერი ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური მასალისა და დოკუმენტაციის ჭეშმარიტად სანიმუშო საცაეები.



უკანასკნელ წლებში ბესო ჯორბენაძე არქეოლოგიური კვლევის ინფორმაციისა და არქეოლოგიის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. რამდენი რამ გააკეთა ძალიან მოკლე ხანში! როგორი ნაყოფიერი კონტაქტები დაამყარა საზღვარგარეთის ბიბლიოთეკასთან, განსაკუთრებით კავკასიის რესპუბლიკების არქეოლოგიურ დაწესებულებებთან ან კიდევ, როგორი თავგამოდებით ეწეოდა ბესო ჯორბენაძე ქართული არქეოლოგიის მიღწევების პოპულარიზაციას პრესაში. არავის ჩვენთაგან ამ თვალსაზრისით, ბესოს ოდენი არ გაუკეთებია.

ბესო ჯორბენაძე ბრძანდებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალის „ძიებანის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი თავკაცი. მან შექმნა ამ ჟურნალის მოდელი, ყველა სტატიას თვითონ უკეთებდა რედაქციას, გამუდმებით ზრუნავდა ჟურნალზე, მას კკუთენის იდეა მთელი რიგი ახალი რუბრიკებისა: „ქრონიკა“, „გახსენება“, „შილოცვა“, „არქეოლოგიის ისტორიიდან“ და ა.შ.

და აი ჩვენს შორის აღარ არის ბესო ჯორბენაძე, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი ბესო!

აუნაზღაურებელია ეს დანაკლისი...



ბესარიონ ჯორბენაძე

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს 63 წლის ასაკში გამოაქვდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიის ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ბესარიონ /ბესიკ/ ალექსანდრეს-ძე ჯორბენაძე. ჩვენგან წაივდა სამშობლოზე და არქეოლოგიაზე უსახდლოთ შეეყვარებული, ფუტკარივით მშრომელი, მართალი კაცი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამწინა საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებას და დიდი ამაგი დასდო ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის, მოვლა-პატრონობის და მომავალი თაობებისათვის შენახვის საქმეს.

იგი დაიბადა 1937 წელს, თბილისში, ცნობილი ინჟინრის ალექსანდრე ჯორბენაძის ოჯახში. უმაღლეს განათლებას უზიარა თბილისის კედეგოგიურ ინსტიტუტში.

ბესიკ ჯორბენაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში (1955-1959წწ), მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის, ურბნისის, ახალციხის, ორბეთის და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში, შეიძინა სხვადასხვა მუშაობის დიდი გამოცდილება და საფუძვლიანად გაეცნო შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ცნობილი არქეოლოგების აღ. ჯავახიშვილისა და ტ. ნუბინიშვილის რეკომენდაციით ჩაირიცხა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში.

ბესიკ ჯორბენაძემ თავისი მეცნიერული საქმიანობის ძირითად სფეროდ იმთავითვე აირჩია შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგია და მისაბამი შრომისმოყვარეობით და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით მიიტკიცა სამეცნიერო წრეების და პირველ რიგში, ცნობილი არქეოლოგის გ. ლომთათიძის ყურადღება. იგი 1960 წლიდან სივოცხლის ბოლომდე დაუღალავად მონაწილეობდა: რუსთავეის /1960-65/, არმაზისხევის /1962წ/, მთაქართლის /1961/, სიონის /1962/, ჯაღეთის /1963/, ერწო-თიანეთის /1963-70წწ/, ხორნაბუჯის /1970/ და ჟინვალის /1971-1995/ ექსპედიციების მუშაობაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განსვენებული მეცნიერის მოღვაწეობის



1977 წ. აგვისტო, მცხეთის ექსპედიცია

ერწოს ველისა და ჭინვალის ექსპედიციებში. ამ წლებში ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მისი, როგორც სანიმუშო საველე მუშაკის და დაკვირვებელი მკვლევარის თვისებები. ერწოს ველზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიას. „ერწო-თიანეთი განვითარებულ შუასაუკუნეებში“ ამ წიგნით მან 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მძიმე საველე შრომას, განსაკუთრებით არაგვის ხეობაში მუშაობის დროს, რომელიც ყოველწლიურად 8-9 თვეს გრძელდებოდა, ბესიკ ჯორბენაძე შესანიშნავად უთავსებდა სამეცნიერო კვლევა-ძიებას. მისი ხელმძღვანელობით ჭინვალში გაითხარა ნაქალაქრის ვრცელი სამაროვანი, სადაც მოპოვებულია უაღრესად დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე არქეოლოგიური მასალები. ეს მონაპოვარი საფუძვლად უნდა დაედებოდა მის სადოქტორო დისერტაციას, რომლის სათაურიცაა „სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი განვითარებული შუასაუკუნეების საქართველოში“. სამწუხაროდ მას არ დასცაღდა ამ კარგად



დაწვებული გამოკვლევის ბოლომდე დახსრულება. მაგრამ ის, რისი გაცემის მიზანია მან მოასწრო, უდავოდ იმსახურებს გამოქვეყნებას.

ფასდაუდებელი იყო მისი საქმიანობა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, სადაც იგი 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა არქეოლოგიის ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად იღვწოდა ცენტრის ბიბლიოთეკის მოწესრიგების და წიგნების ფონდის შევსებისათვის, ხელმძღვანელობდა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენას, გრძელდებოდა მუშაობა არქეოლოგიის ისტორიაზე.

განსაკუთრებულია მისი წვლილი ქურნალ „ძიებანის“ გამოცემაში. ამ სფეროში იგი იყო შეუცვლელი პიროვნება, რომელიც მეცნიერულთან ერთად, კარგად იყენებდა თავის ქურნალისტურ გამოცდილებას. იგი ხომ საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირში გამომაველ ქურნალ-გაზეთებში ქართულ სიტყვულთა შესახებ 4 ათეული წლის განმავლობაში აქვეყნებდა წერილებს, ცნობებს, ქართულ, რუსულ, ასურბაიჯანულ, სომხურ და სხვა ენებზე. ბესიკი აქტიურად თანამშრომლობდა ქურნალ - „როსიისკაია არხეოლოგია“-ს რედაქციასთან.

ბესიკი ჯორბენაძე დაუღალავად მონაწილეობდა ქართულ ენციკლოპედიასთან არსებულ ძველთა ნუსხის და ქართული ხელოვნების ძველთა მიკროფიშების გამოცემაში, რომელიც პოლანდიაში იბეჭდება. ამ სფეროში მან თავი გამოიჩინა როგორც უნერგიულმა ორგანიზატორმა და მრავალი სტატიის ავტორმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ბ. ჯორბენაძის საქმიანობა ქურნალ „ძველის მეგობარში“. იგი გარდა იმისა, რომ იყო ამ ქურნალის ერთ-ერთი აქტიური ავტორთაგანი, გვერდში ედგა მის რედაქციას და ყოველგვარი ანგარების გარეშე უხმარებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებს ამ ქურნალისათვის საჭირო სტატიების შეგროვება-რედაქტირებაში.

ჩვენ გულისტკივილით გამოვეთხოვეთ სანიმუშო მეცნიერს და მოქალაქეს, გულისხმიერ მეგობარს და შეუდარებელ მეოჯახეს, გულმხურვალე პატრიოტს და უანგარო მოღვაწეს ბესიკ ჯორბენაძეს, რომელსაც კიდევ მრავალი სასარგებლო საქმის გაკეთება ძალუჭდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის საკეთილდღეოდ.



კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

ქართული
ლიტერატურა

ბესარიონ ჯორბენაძე ჩემო ბესიკო, შენი უდროო გარდაცვალებით შენ არ დააკლდი შენს ოჯახს მხოლოდ, დააკლიდი თბილისს, დააკლდი დუშეთს, დააკლდი ინტელიგენციას, დააკლდი არქეოლოგიურ კულევის ცენტრს, დააკლდი ურეკლის არქეოლოგიურ ექსპედიციას, დააკლდი ყველას ვინც კი გიცნობდა . . .



ბორჯომი 1974 წ. ბესო ჯორბენაძე მუდღვე ნინო ჩატაბესთან ერთად

სიცოცხლით საესე მოუსვენარო, მოცდა არ გკონდა, სულ ინქაროდი, არ იღლებოდი, ყველას მხარში იდუკე ყველა საქმეში. სიცოცხლის ბოლო დღეებში, მაშინ როცა ხელში კაღმის აღებაც არ შეგეძლო, მაშინ კი შეიღის დახმარებით მოამზადე და გააგზავნე სტატია მოსკოვში «Российская археология» -ში გამოსაქვეყნებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებზე ფიქრობდი, იქ სხვა ავტორებიც იყვნენ.



ძალიან გეტკოვა გული უძღურები რომ აღმოჩნდით და ვერ შევძლებდი შეველა წახვედი და ჩვენს მესხურებაში დარსა შენი ეპეკაციური პირმცინარე სახე სითბო და სიყვარული რომელიც თან გახლდა მუდამ.

ახლაც ყურში ჩამესმის შენი სიტყვები არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში 2000 წლის გაზაფხულზე ჩვენი კვლევის დისერტაციის დაცვის აღსანიშნავად შეკრებილთ შენი ბოლო თამაღობისას რომ გეთხარი - გვიყვარდეს ერთმანეთი. გვიყვარდეს ერთმანეთი და ჩვენი საქმე.

ნათქვამია, კაცი რომ კედება, სახელი რჩებაო. შენ მართლა ეპეკაცი იყავი ყველგან და ყველგან. ვამაყობ იმით, რომ წლების განმავლობაში შენს გვერდით მომიწია მუშაობა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო სულით ნათელი და გულმართალი ბესიკ.

უნვალის არქეოლოგიური ექსპედიციის სახელით
ვერიკო ჩიხლაძე

ამ ტკივილიან სიტყვებს ძნელია რაიმე დაუმატო, მაგრამ ყველას მიმართ ყურადღებთან, თავაზიან და მხარში ამომდგომ ბესო ჯორბენაძეს, რომ არ უთხრათ გამოსათხოვარი სიტყვები არ შეგვიძლია.

ბესო, იმ დროს იყო ჩვენს გვერდით, როდესაც ყველაზე მეტად გეჭირდა. უნდა შეგვენარჩუნებინა ყურნაღის გამოცემა და მასალას მასალაზე გვაწვდიდა, თვითონ რეკავდა - კიდევ რა არის გასაკეთებელი, სტატიასაც მოვამზადებო. არასოდეს დაგვაღალატებდა, მასთან თანამშრომლობა სახიამოვნო და ყოველთვის შედეგიანი იყო. ყველაფერი თოთქოს თავისთავად კეთდებოდა. მისი კეთილშობილი ბუნებისათვის უცხო იყო, დაყვედრება - აი, რამდენად გეტხარებითო. ის ასე უნდა მოქცეულიყო, იმიტომ სხვანაირი ვერ იქნებოდა. ძალიან დაგვაკლდით ბესო.

ყურნაღ „ძველის მგობრის“ რედაქცია
გივი პაპაღლაშვილი, მია ასანიძე

Maia Asanidze

Why Do We Forget?

The article gives a brief overview of the activity of Society for Protection of Monuments of Georgia over the 40 years. The role of this public organisation in activating national self-consciousness, restoration and popularisation of the monuments is specially accentuated.

The author deals with the present problems, namely, a disagreement with certain representatives of the clergy, trying to take possession of the administrative building belonging to the Society.

Echo of the Centuries

The magazine publishes a letter of Alexei Constantine Tolstoi, famous Russian writer, to Alexander II, emperor of Russia. The letter is written in 1860 and expresses the writer's indignation against the actions of the contemporary Russian clergy, who built new ecclesiastical churches demolishing the old ones.

What is Done

The magazine publishes a list of monuments, more than 200 churches and monasteries among them, restoration of which was funded by the Society for Protection of Monuments of Georgia.



Sebastopolis Fortification System (1st-6th cc. AD)

The article is focused on the 1st-6th cc. monuments of the military and strategic significance in Abkhazeti, Sebastopolis (present Sokhumi).

In 1958-1959 three castellums of diverse chronology were discovered in Sokhumi. The first is dated to the 1st-2nd cc, while the second and the third are respectively ascribed to the 3rd-4th cc. and the first half of the 6th c. All the three monuments differ by their dimensions and configuration.

George Javakhishvili

To the Genesis of the Early Medieval Georgian Stelae

The article deals with development of the stelae – monuments of cult, memorial and juridical character – preserved in Georgia.

The author thinks that development of Early Medieval Georgian stelae (6th-8thcc.) clearly reflects contemporary ideology and culture. Stelae are those memorial monuments through which Christian themes had panatrated and became established in Georgian art.

Apolon Gabriadze

Highly developed Medieval Glass Objects from Kutaisi City-Site

Kutaisi located in Western Georgia belongs to the most ancient Georgian cities. The author distinguishes two groups in the glass objects found in Kutaisi city-site, namely glass vessels (glasses, bottles, lamps) and adornments(bracelets).

According to the stratigraphy and synchronic glass material data objects excavated in Kutaisi city-site date from the 10th-13th centuries. The author suggests a proposition that in the Middle Ages Kutaisi used to be a glass production centre in Georgia.

Guram Kipiani

To the Position of the Open-work Buckles in the Tombs

It is considered that openwork in the tombs are fixed on the waist of the deceased and thus they were thought to represent belt-buckles. Functional analysis of these objects, as well as data collected in the course of the fieldwork and graphical documentation, make it evident that the bukles could be plased only on the breast and form part of the military equipment.

To the Memory of Besarion Jorbenadze


Several articles are dedicated to Mr. Beso Jorbenadze, well-known Georgian archeologist, noble person and devoted friend.

Acad. Otar Lortkipanidze, prof. Ramin Ramishvili, archeologist Veriko Chikhladze, in their articles briefly discuss Mr.B. Jorbenadze's contribution to Georgian science; his exceptional human and professional merits are specially emphasized.

სარჩევნი

1. მია ასანიძე
რატომ ეივიწყებთ? _____ 3
 2. საუკუნეთა გადაძახილი _____ 11
 3. რა გაკეთდა (საზოგადოების მიერ რესტაურირებულ ძეგლთა სია) _____ 13
 4. თემურ თოდუა
სებასტოპოლისის გამაგრების სისტემა _____ 19
 5. გიორგი ჯავახიშვილი
ადრე შუა საუკუნეების ქართული სტეგლების გენეზისი _____ 24
 6. აპოლონ გაბრიაძე
განვითარებული შუა საუკუნეების მინის
ნაწარმი ქუთაისის ნაქალაქარიდან _____ 30
 7. გურამ ყიფიანი
სამარხებში ჭეირულ ბაღთათა მდებარეობისათვის _____ 35
- ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნას
7. ოთარ ღლორთქიფანიძე
კაცი ნათელი _____ 38
 8. რამინ რამიშვილი
ბესარიონ ჯორბენაძე _____ 40
 9. ვერიკო ჩიხლაძე
კაცი, რომელიც ყველას დააკლდა _____ 43
 10. ანოტაციები ინგლისურად _____ 45

თბილისი, შავთელის 5/7



ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58



ასლბადავლები აკრაპურა
პრინტერები
ფაქსები
კომპიუტერები
საოფისე ავეჯი
დიზაინი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი